

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის  
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მიმართულება განათლება

## ნესტანი კოჩალიძე

აღმზრდელითი საქმიანობის ფორმები

გაკვეთილგარეშე მუშაობაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დედა  
ბარბარე (მეგრელიძე)

ბიჭაური

2021

## ანოტაცია

ნესტანი კოჩალიძის ნაშრომში აღმზრდელითი საქმიანობის ფორმები გაკვეთილგარეშე მუშაობაში, განხილულია ის გარემოფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან ადამიანის ზრდა-განვითარებისა და მის პიროვნებად ჩამოყალიბებას.

ნაშრომში გაანალიზებულია შეხედულებანი აღზრდის შესახებ, ის პირობები, როცა ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად უნდა გრძნობდეს. შემუშავებული, გაზიარებული და მოდიფიცირებულია ის აქტივობები რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს გაკვეთილგარეშე მუშაობაში აღმზრდელითი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორი წყაროების ანალიზის საფუძველზე ანალიზებს ცნობილი ფსიქოლოგების პედაგოგიური მეცნიერების, სპეციალისტების მოსაზრებებს, ოჯახის, ტრადიციების, რელიგიური, ეთნიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, მედიის აღზრდაზე გავლენის შესახებ.

სამეცნიერო, მეთოდური და რეკომენდაციების, გამოცდილების შესწავლით გვთავაზობს სხვადასხვა სახის აქტივობებს, სავარჯიშოებს, რომელიც ხელს უწყობს აღზარდოს ბავშვებში პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა საკუთარი ქვეყნის, ერის, გარშემომყოფთა მიმართ, რათა თავიანთი ქცევით, ცხოვრების წესით შექმნან ის საზოგადოება, რომელიც დაამკვიდრებს კარგი და მისაღების გაძლიერებას ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთ ზრუნვას.

## Annotation

In Nestani Kochalidze's work *Forms of educational activities in extracurricular activities* is discussed the environmental factors that contribute or hinder the growth and development of a person and his formation as a person.

The paper gives us an analysis about the views of upbringing, the conditions when a child should feel protected in society. There are developed, shared and modified some kind of activities, which will facilitate the implementation of extracurricular activities.

Based on the analysis of sources, the author discusses the opinions of well-known psychologists, pedagogical scientists and specialists about the influences of family, traditions, religious, ethnic, social and economic status and media on the upbringing process.

Through the study of scientific works, methodological and recommendations, also experiences this work offers a variety of activities and exercises that help children to develop a sense of responsibility and duty to their country, nation, and people. With their behavior and lifestyle they have to create a society, where love, care, kindness are the main ideas.

## შინაარსი

შესავალი .....	8
<b>თავი I აღზრდის პრობლემები.....</b>	<b>14</b>
1. შეხედულებები აღზრდის შესახებ.....	14
2. ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად უნდა გრძნობდეს.....	20
3. მშობლების წერილები შვილებს .....	26
<b>თავი II აქტივობები გაკვეთილგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის</b> .....	<b>37</b>
4. თავისუფალი ნება და არჩევანი.....	37
4.1 არჩევანის თავისუფლება .....	46
4.2 გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობა .....	47
4.3 მოქმედება სიამოვნება უსიამოვნების წარმოდგენათა ზეგავლენით .....	47
4.4 გადაწყვეტილების მიღება .....	48
4.5 რა მოტივი გამოძრავებთ? .....	49
4.6 გაფრთხილების გარდაუვლად შესრულება თავისუფლების შეზღუდვა? .....	49
4.7 შეიძლება მხოლოდ სკუთარ თავზე ფიქრი? .....	50
4.8 ნება ზნეობრივ კანონს ემორჩილება? .....	51
5. ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ქცევის კულტურა.....	52
6. აქტივობები საზოგადოებაში საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღზრდისათვის .....	61
6.1 „ბალადა პროფესორ ჟორდანისა გმირობაზე“ .....	62
6.2 სხვისთვის თუ ჩემი სულისთვის? .....	63
6.3 ნუ ჩაადებთ ბავშვებს საფრთხეში.....	64
6.4 მიგაჩნიათ, თქვენ ხართ მიზეზი?.....	64
6.5 ღიმილსაც შეუძლია უსიამოვნების მოტანა? .....	65
6.6 ტაქტი თუ უტაქტობა .....	65
6.7 მისალმებაც შეიძლება იყოს მიუღებელი .....	66
6.8 ტელეფონით სარგებლობა .....	67
6.9 გავრით მიმართვა მავნე ჩვევა .....	68
6.10 სხვებთან ყოფნისას ზოგიერთი მავნე ჩვევის დაძლევა შეუძლებელი? .....	68
6.11 იუმორისადმი დამოკიდებულება .....	69
6.12 სტუმრად .....	69
6.13 სასარგებლოა თუ არა ზნეობრივად მოქცევის წესების ცოდნა .....	71

6.14	საჭმლის მიღებისას გაგვახსენდეს მშვიერი.....	71
6.15	იცი, რო მავნე ჩვევაა და მაინც ვერ თმობ? .....	72
	დასკვნა .....	74
	ლიტერატურის დასახელება .....	76
	ინტერნეტ წყაროები.....	78

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საგანმანათლებლო სისტემაში მრავალ გადასაჭრელ პრობლემას შორის განსაკუთრებით მწვავედ დგას ზნეობრივი სწავლებისა და აღზრდის სრულყოფისთვის ზრუნვის აუცილებლობა.

ზნეკეთილი ბავშვის აღზრდა ყველა საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ დიდად გაუსწრო პიროვნების სულიერ განვითარებას. დავიწყებამ იმის, რომ ადამიანს ზნეობისათვის აუცილებლად სჭირდება რწმენა და ცოდნა, არცთუ სასურველ შედეგამდე მიიყვანა ქვეყნა.

ენის გაჯანსაღება, ხალხში სიკეთის, სათნოების, კაცთმოყვარეობის, ურთიერთმიმტევებლობის, თანადგომის, სიყვარულის დამკვიდრებისთვის იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური მეცნიერების მკვლევარები, საეკლესიო მოღვაწეები, მამულიშვილების მასწავლებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს აღზრდას მიაკუთვნებდნენ.

იაკობ გოგებაშვილი და ილია წავჭავაძე ჭეშმარიტ განათლებად განვითარებული გონებისა და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის შეთავსებას მიიჩნევდნენ.

იაკობ გოგებაშვილი მაღალ და წმინდა ზნეობაში გულისხმობდა ისეთ ღირებულებებს, რაც აღამაზებს პიროვნებას, აადვილებს მის სხვებთან ურთიერთობას, სასიამოვნოს ხდის ცხოვრებას და ბედნიერებას ამკვიდრებს წუთისოფელში. მან თავის დედა-ენას დაურთო ისეთი საკითხავი მასალა, რომელიც ბავშვებს ასწავლიდა: მოწყალებას, მხნეობას, სიმშვიდეს, სიუხვეს, პატიოსნებასა და სხვა სათნოებებს. სკოლის მიზნად მიაჩნდა პატიოსანი პიროვნების აღზრდა, რომელიც იქნებოდა ბურჯი ეროვნებისა.

დიმიტრი უზნაძე სკოლის ცხოვრების ყოველ მომენტს განიხილავდა, როგორც პიროვნების აღზრდის შემადგენელ ნაწილს. იგი თვლიდა, რომ ცოდნისა და გონების გაღრმავებისა და გაფართოების გარდა ყოველ საგანს საერთო აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. იგი სწავლების ზოგადღმზრდელობით მნიშვნელობას ირჩევდა,

განათლებაში ჰუმანიზმის მქადაგებელნი (პაოლო ვერჯერიო, ფრანსუა რაბლე და სხვები) მიიჩნევდნენ, რომ საგანი აღზრდისა არის ის, რომ ყოველი ნიჭი და ძალნი

ადამიანისა, როგორც გონიერებითი, ასევე ზნეობითი, სულიერი წარმართო და განვითარდეს სიკეთისაკენ.

აღზრდის პროცესი მიმდინარეობს სახლში, სკოლაში, ქუჩაში, საზოგადოებაში, იგი ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება.

ზნეობრივი სიბრძნის შეთვისება ადამიანს სულიერ, ინტელექტუალურ და კულტურულ სრულყოფაში ეხმარება. მისი ურთიერთობა საზოგადოებასთან და სამყაროსთან კეთილგანწყობილი და სათნო ხდება.

აღზრდის უმნიშვნელოვანესი პროცესები მიმდინარეობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პედაგოგიური საქმიანობა ემყარება ცოდნის ერთობლიობას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიგოს მომავალი ანუ ჯერ კიდევ სინამდვილეში განუხორციელებელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ასეთი ცოდნა თავის მხრივ განსაზღვრული სახით შეეფარდება ახალ ცოდნას იმის შესახებ, თუ სინამდვილეში როგორ მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესი. პედაგოგიური პრაქტიკა, პედაგოგიური სინამდვილე ავლენს განხორციელებული საქმიანობის შედეგს. პედაგოგიური პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ მასწავლებლის წინაშე მრავალი პრობლემა დგას: როგორ შეახამოს სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების ზუსტი შესრულება დავალებული საქმის დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობას, როგორ დაუკავშიროს გონებრივ განვითარებას ზნე-ხასიათის წვრთნა და სხვა. სირთულეს ქმნის ისიც, რომ სასწავლო პროგრამები არ ითვალისწინებენ აღმზრდელობით საქმიანობას. შესაბამისად არც საგაკვეთილო გეგმების ფორმა მოითხოვს სასწავლო მასალის აღმზრდელობით მიზნებთან, საქმიანობასთან დაკავშირებას, მაშინ როცა სასწავლო პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია აღმზრდელობითი ხასიათისაა ანუ გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის დაკავშირებაა.

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ პედაგოგიური პრაქტიკის დროს ცხადი გახადა, რომ წარმატებული მასწავლებლები ფლობენ ზნეობრივი აღზრდის შინაარსს, ზნეობრივი აღზრდის მიზნის განხორციელების საშუალებებს, იმ გზებს, რომელიც ადამიანური თვისების განვითარებასა და კეთილზნეობის აღზრდას სჭირდება.

დისტანციური სწავლების პერიოდში ხშირად ვფიქრობდი პედაგოგიური პრაქტიკის პირობებში მოცემულ გამოცდილებაზე, ზოგადად პანდემიის დროს შექმნილ ვითარებაზე, როცა ადამიანები გაუცხოვდნენ ერთმანეთის მიმართ, ამასთან

წუხილი, ზრუნვა და დარდი ერთმნეთზე გაძლიერდა. კარჩაკეტილობამ კიდევ უფრო მწვავედ დაგვანახა აღზრდის პრობლემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დავინტერესდი აღზრდის პრობლემით. მოვამზადე რამდენიმე სემინარი სოციალური და მედია სივრცის აღზრდაზე გავლენის შესახებ და გადავწყვიტე შევჭიდებოდი აღზრდის პრობლემის კვლევას. საკითხი ვრცელია და მრავლისმომცველი, მე მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი შევარჩიე, კვლევისთვის.

**კვლევის მიზანი:** განვსაზღვროთ ის ფორმები და მეთოდები, რომელიც ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებას გაკვეთილგარეშე მუშაობაში.

- კვლევის ამოცანები:**
1. შესწავლილ იქნას შეხედულებები აღზრდის შესახებ
  2. გაანალიზდეს ის პირობები, რომელიც განსაზღვრავს ბავშვების დაცულობას საზოგადოებაში
  3. შემუშავდეს ის აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებას გაკვეთილგარეშე მუშაობაში

**კვლევის მეთოდები:** წყაროებზე მუშაობა, სამაგიდო კვლევა, დაკვირვება, აღწერა, ნიმუშების შედგენა და წარდგენა, გამოცდილების გაზირება, ელექტრონული რესურსების მოძიება, დახარისხება, გამოყენება.

**მეცნიერული სიახლე:** ნაშრომში განხილულია შეხედულებანი აღზრდის შესახებ. ის პირობები, როცა ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად უნდა გრძნობდეს. შემუშავებული, გაზიარებული და მოდიფიცირებულია ის აქტივობები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს გაკვეთილგარეშე მუშაობაში აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელებას

**თეორიული მნიშვნელობა:** ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, მეთოდურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი აღზრდის შესახებ, გონებრივი და აღმზრდელობითი საქმიანობის დაკავშირებას ეფექტიანობის შესახებ.

**პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომში მოცემულია გაკვეთილგარეშე საქმიანობაში განსახორციელებელი აქტივობები ნიმუშების სახით, რაც ამაღლებს მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას.



**მატერიალურ-ტექნიკური მასალა:** წმინდა ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, წმინდა გრიგოლ ხანძთელის ხიჭაურის სკოლა.

**ნაშრომის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, ექვსი პარაგრაფის დასკვნებისა და ლიტერატურის დასახელებისაგან.

**ნაშრომის მოკლე შინაარსი:** თავი I-ის პარაგრაფ პირველში განხილულია მოსაზრებები აღზრდის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით.

პარაგრაფ მეორეში, ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად უნდა გრძნობდეს, განაალიზებულია ის პირობები, რომელიც უნდა იყოს საზოგადოებაში, რადგან ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს. ამ მიმართებით უმთავრესად არის მიჩნეული დაცვა იმ ეროვნული ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებებისა, რომელიც საუკუნეობით დაიცვა ქართველმა ერმა და მოიტანა დღემდე: მამული, ენა და სარწმუნოება.

მეორე თავში, აქტივობები გაკვეთილგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის, მესმე პარაგრაფში მოცემულია ცნობილი მამების წერილი შვილებისადმი, რომლებიც გასცდა ოჯახს და აღიარება და მოწონება დაიმსახურა საზოგადოების მიერ.

მეოთხე პარაგრაფში განხილულია „თავისუფალი ნება და არჩევანი“ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სწავლების მიხედვით.

პარაგრაფ მეხუთეში, ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ქცევის კულტურა, განხილულია ქართული ტრადიციული სუფრის ქცევის კულტურა, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ქართული ლხინისა და ჭირის ტრადიციული სუფრა იყო, მოვალეობის პასუხისმგებლობის, წარსულისადმი პატივისცემის გამოვლინება.

პარაგრაფ მეექვსეში, აქტივობები საზოგადოებაში საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღზრდისთვის, მოცემულია ნიმუში აქტივობებისა, რომლებიც ხელს უწყობენ საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღზრდას, ზნეობრივი ნორმების გათვალისწინებით.

## თავი I აღზრდის პრობლემა

### §1. შეხედულებანი აღზრდის შესახებ

აღზრდა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებას. ეს ხანგრძლივი პროცესი დიდ რისკებთან და სიფრთხილესთან არის დაკავშირებული, რადგან შედეგები ცოტა გვიან ვლინდება ხოლმე. აღზრდაზე ბევრი ფაქტორი და გარემოება ახდენს გავლენას. არ არსებობს რაიმე კონკრეტული ფორმულა, რომელიც გარანტი იქნება ამ პროცესის სწორად წარმართვისათვის, თუმცა არსებობს ზოგიერთი საზოგადო დებულება, რომლის გამოყენებითაც ბავშვები სრულფასოვან და ჩამოყალიბებულ პიროვნებად იღზრდებიან, უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

აღზრდა ორმხრივი პროცესია. იგი გულისხმობს აღსაზრდელსა და აღმზრდელს. აღზრდის პროცესის სწორად და ნაყოფიერად წარმართვისთვის ორივე მხარე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. შეიძლება აღმზრდელი არ გამოიჩინოს განსაკუთრებული ღირებულებებით და აღსაზრდელში მაინც განვითარდეს ისინი ან ადამიანს საუკეთესო აღმზრდელი ყავდეს და მასში მაინც ჭარბობდეს ნაკლოვანი მხარეები, ამაზე ხომ დიდი აკაკი წერეთელი თავის გამზრდელში წერს: მარტო აღზრდა რას უშველის თუ ბუნებამც არ უშველა. თუმცა აღზრდის პროცესში ლომის წილი, მაინც აღსაზრდელზე მოდის, რადგან ერთი, რომ მას აღმზრდელის გარდა სხვა სახის ურთიერთობებიც აქვთ და მათგანაც იძენს ამა თუ იმ თვისებებს და მეორე ის ცალკეული, სულიერი არსებაა, რომელსაც განსაკუთრებული, უნიკალური აღმა და ემოციები გააჩნია ამა თუ იმ საკითხის მიმართ, მას გააჩნია გონება და აზროვნების უნარი, რითაც აფასებს და ახარისხებს მიღებულ ინფორმაციას. აღზრდა მასში თვით აღსაზრდელის მონაწილეობის გარეშე არ არსებობს, წერს პოლონელი, მწერალი და პედაგოგი იანუშ კორჩაკი.

ადამიანის გაჩენისთანავე, გაჩნდა აღზრდის პრობლემაც, ის დროის ცვალებადობასთან ერთად იცვლება და სხვადასხვა კუთხით ფორმირდება. იყო დრო, როდესაც ფიზიკურ აღზრდას უფრო დიდი დრო ეთმობოდა, ან გონებრივი განვითარება იყო წინა პლანზე წამოწეული, ხან სულიერებას ეთმობოდა განსაკუთრებული ყურადღება. პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები გადარჩენისთვის იბრძოდნენ, ფიზიკური აღზრდა უპირატესი იყო, თუმცა გონებრივი განვითარების პროცესიც გვაქვს (ნადირობას ან ტომობრივ ბრძოლას თავისი ხერხები და გეგმები ჭირდებოდა) და სულიერი აღზრდის ელემენტებიც (სპეციალური რიტუალები, რომლებსაც ასრულებდნენ კოცონის გარეშემო). შუასაკუნებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადამიანის სულიერად აღზრდას, ხოლო უფრო გვიან პერიოდში გონებრივი აღზრდის პროცესი სძლედა ორივე მათგანს.

აღზრდის პროცესი მარადიულია, როგორც ზევით აღვნიშნეთ ის ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა და იარსებებს მანამ სანამ იარსებებს ადამიანიც. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, იცვლება აღზრდის პროცესიც. საზოგადოების ერთი წყობიდან მეორეში გადასვლა თუ ხელს უწყობს

აღზრდის პროცესის მიმართულების ცვალებადობას, თავის მხრივ მიმართულების ცვალებადობა აღზრდის მეთოდებს ცვლის. იცვლება ასევე მისი შინაარსი, ფორმები და მიზანი.

აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით უხსოვარი დროიდან დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა დარგის მეცნიერნი და სწავლულნი. ისინი სხვადასხვა მიმართულებით იკვლევენ ამ პროცესს. ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, პედაგოგები, გამუდმებით აკვირებიან და ახალ მიმართულებებს გვიჩვენებენ.

ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ აღზრდა რთულად წასამართი პროცესია, რომლის შედეგიც წლების განმავლობაში ვლინდება. აღზრდის პროცესში ძირითადად ასეა რასაც გაცემთ, იმას ვიმკით ხოლმე. თუ ბავშვს ჯანსაღ გარემოში აღზრდით, მას სიყვარულს და მზრუნველობას არ მოვაკლებთ, წლების შემდეგ ის ჩამოყალიბდება პიროვნებად, რომელიც თავადაც სიყვარულის მატარებელია. ჩვენ თუ ბავშვს აღზრდით ისეთ გარემოში, რომელიც გაჯერებულია სიკეთის კეთებით, ფასეულობათა და ღირებულებათა დაფასებით, მომავალში ჩვენ გვეყოლება ადამიანი, რომელსაც სიკეთის კეთება ქცევად და ნორმად ექნება ჩამოყალიბებული, ხოლო ბავშვი, რომელიც მოკლებულია, მზრუნველობას, ჯანსაღ გარემოს, ადამიანების სიკეთეს, თუ მას სიძულვილის ენაზე ესაუბრებიან, თუ მას არ აქებენ, მაშინ მისგან სამყაროზე გაბოროტებულ პიროვნებას ვიღებთ.

ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდანვე იწყება და მასზე გადამწყვეტ როლს თამაშობს ის გარემო, რომელშიც იმყოფება აღსაზრდელი. ბავშვის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ფაქტორები ან ადამიანები იღებენ მონაწილეობას. ესენია: ოჯახი, ბავშვი, სკოლა, სამეგობრო წრე, სამეზობლო წრე, სოციალური რომელშიც იმყოფება ბავშვი, ქვეყანა, მსოფლმხედველობა, რომელიც მის გარშემოა ჩამოყალიბებული, რელიგიური აღმსარებლობა, ეკონომიკური მდგომარეობა და ასე შემდეგ.

მაგალითის მიხედვით ბავშვის სამყაროს მისი ოჯახი წარმოადგენს, რომელიც ხშირ შემთხვევაში დედისგან, მამისგან და და-ძმებისაგან შედგება. ბავშვი ყურადღებით აკვირდება ოჯახის წევრებს და იმეორებს მათ ქცევებს. თავდაპირველად ის მიმბაძველობით სწავლობს და დიდი ხნის განმავლობაში ასე გრძელდება, თანამედროვე ფსიქოლოგები დაინტერესებული არიან ამ საკითხით და ისინი თვლიან, რომ ბავშვები სწავლობენ იმით, რასაც ხედავენ და არა იმით რაც ესმით. მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ამერიკელი პოლიტიკოსი დევიდ ბლაი წერს: შენი შვილები გახდებიან ისეთები, როგორც შენ ხარ, ასე რომ იყავი ისეთი, როგორც გინდა რომ იყვნენ ისინი. (Your children will become what you are; so be what you want them to be.).

მიზანმიმართულ სწავლას ბავშვები ადრეული ასაკიდან იწყებენ, ისინი იმეორებენ იმას, რასაც აკეთებენ მათი მშობლები ან აღმზრდელები, იმეორებენ მათ მოძრაობებს, მანერებს, ქცევებს, სიტყვებს, შემდეგში უკვე აზრებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული და ბევრი თანამედროვე ადამიანი იკვლევდა ამ საკითხს, მათ შორის არის მიჩიგანის უნივერსიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი ქერი შრაიერი, რომელსაც უამრავი სტატია აქვს დაბეჭდილი ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, ის თავად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და აკვირდება ბავშვების

ქცევებს. მან 2014 წლის ივნისში გამოაქვეყნა სტატია, სადაც იგი განიხილავს ამ საკითხს. ის ამბობს, რომ მშობლები ბავშვებისთვის პირველი მასწავლებლები არიან, ადრეულ ასაკში ბავშვები მშობლებზე დაკვირვებით და მათი ქცევების განმეორებით იმეცნებენ სამყაროს, ასე რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და ვაკონტროლოთ როგორც ჩვენი ქცევები, ასევე სიტყვები.

გახსოვდეთ, თქვენ, თქვენი შვილებისთვის პირველი მასწავლებელი ხართ. ჩვენი შვილები ყოველდღე გვიყურებენ და სწავლობენ ჩვენგან. ისინი გამუდმებით სწავლის პროცესში არიან, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ჩვენს ქცევებსა და სიტყვებს. ამით ჩვენ მათ ვასწავლით იმას, რისი სწავლებაც გვინდა, და ვაყენებთ იმ ბილიკზე, რომელიც შემდეგ წარმატებებში ეხმარება.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს ერთ-ერთ თანამედროვე ინგლისურენოვან, საბავშვო მწერალს, ჩანა სტიფელს, რომელიც 2005 წლის გამოქვეყნებულ სტატიაში თავის შვილზე, დაკვირვებით გაკეთებულ მოსაზრებებს გვიზიარებს და თანამედროვე ექიმებისა და ფსიქოლოგების დასკვნებით ანმტკიცებს მათ. აი რას წერს ის:

ხუჭუჭა ყავისფერი თმით და მზიანი ღიმილით, ჩემი შვილი, ჯუდა დაბადებიდან ჰგავდა მამას. თუმცა ეს მსგავსება დროთა განმავლობაში უფრო გაიზარდა, ჩვენი შვილი ჩემს ქმარს გარეგნობასთან ერთად ქცევებითაც ემსგავსებოდა, ეს მაშინ შევამჩნიეთ როდესაც ჩემი ქმარი ვარჯიშიდან დაბრუნდა და გაჭიმვა გააკეთა, ჩემი ქმრის გვერდით იდგა 14 თვის ჯუდა და იმეორებდა ზუსტად იგივეს, რასაც აკეთებდა მამამისი. ამის შემდეგ ხშირად ვაკვირდებოდი ჩემი შვილის ქცევებს, ის აკეთებდა იმას რასაც ვაკეთებდით მე და ჩემი მეუღლე. მე თუ ტელეფონზე ვსაუბრობდი ჯუდა ჩემს უკან იდგა და იმეორებდა იგივეს.

ამ სტატიაში, იგი გვისაბუთებს რომ პატარები, რომლებსაც სამყაროს შესახებ არაფერი იციან, თავდაპირველ ცოდნას ჩვენზე დაკვირვებითა და მიმბაძველობით იღებენ, ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ქცევებს.

ის ასევე საუბრობს იმაზე, რომ გოგონები ძირითადად დედას ბაძავენ, ხოლო ბიჭები მამას. თუ ბავშვი ხედავს, რომ ოჯახის რომელიმე წევრი სიგარეტს ეწევა, მას ეს ჩვეულებრივი მოვლენა ჰგონია.

თუ ბავშვი ხედავს, რომ მშობლები საათობით სხედან წიგნებთან, ბავშვიც იყვარებს კითხვას. თუ ხედავს, რომ მშობლები ერთმანეთს სიყვარულით და სითბოთი ესაუბრებიან ისინიც იგივეს იმეორებენ.

მშობლები ამ შემთხვევაში ერთგავრ მოდელის როლს არულებენ, რომლისგანაც იღებს ბავშვი მაგალითს ამ საკითხთან დაკავშირებით მე-20 საუკუნის მოღვაწე, ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურა, რომელმაც სოციალური დასწავლის თეორია შეიმუშავა, თვლიდა რომ ბავშვები სწავლას მიბაძვით იწყებენ და ამ მეთოდს შემდგომშიც იყენებენ. მისი აზრით, ადამიანები ეფექტურად სწავლობენ სხვა ადამიანზე, ანუ მოდელზე დაკვირვებით. ადამიანებს სხვების იმიტაციის/მიბაძვის უნარი დაბადებიდან მოსდევთ. ისინი სწავლობენ მრავალი ფსიქომოტორული ქმედების შესრულებას სხვა ადამიანებზე დაკვირვებით, როგორც შედარებით მარტივ

(მაგალითად, კბილების გახეხვა), აგრეთვე გაცილებით უფრო რთულ ქმედებებს (მაგალითად ცეკვა ან პიანინოზე დაკვრა). მართალია ბანდურას ეს თეორია უფრო ფართოა, თუმცა ამით კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ მიბაძვით სწავლა, ცოდნის მიღების საკმაოდ გავრცელებული ფორმაა და რახან მშობლები პირველ ე.წ. მოდელებად ითვლებიან მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ ხოლმე ქცევებს.

მშობლები ხშირად ჩივიან ხოლმე, ერთ საკმაოდ გავრცელებულ პრობლემაზე, როდესაც თავიანთი 2-3 წლის შვილები უწმაწურ სიტყვებს იყენებენ. ისინი ტუქსავენ და უკრძალავენ ბავშვებს მსგავსი სიტყვების განმეორებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში ბავშვები აგრძელებენ იგივეს კეთებას და მშობლებიც აგრძელებენ საყვედურების გამოთქმას. ამ დროს მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვი ვერ აცნობიერებს მის დანაშაულს, იგი იმეორებს იმას რაც ესმის უფროსებისგან, მას ეს სიტყვები ჩვეულებრივი ჰგონია. თუ უფროსები ბავშვის თანდასწრებით მოერიდებიან მსგავსი სიტყვების განმეორებას, ბავშვებიც არ იტყვიან მათ.

აღზრდის პროცესში განათლების მიცემა, ცოდნის გადაცემა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რამეთუ განათლება აკეთილშობილებს ადამიანს და მის სულს უფრო მაღალსა და სათნოს ხდის.

გთავაზობთ ციტატებს ილია ჭავჭავაძის ნაშრომებიდან, რომელიც შეეხება განათლების მნიშვნელობას აღზრდის პროცესში:

ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას.

ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია.

კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გალესილია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

მოგვეციტ მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი!

მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა.

სწავლა-განათლება თვითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ.

სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი ველარ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე.

სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავლის თაობის კუთვნილია და, მამასადამე, მის ხელთ იქმნება.

განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს.

ნიქს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა.

აღზრდის შესახებ მნიშვნელოვანია იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები, მისი ნაშრომები ძირითადად აღზრდის, განათლების პრობლემებს ეხება, ეს ვრცელი კვლევის თემაა, მხოლოდ რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ:

განათლება - ორლესული იარაღია, რომლის გამოყენება შეიძლება ადამიანთა სასარგებლოდაც და საზიანოდაც. საქმე იმაშია, თუ ვის უჭირავს იგი ხელში და რა მიმართულებით ხმარობს ის ამ იარაღს.

სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკულმართობის გზაზედ არის დაყენებული.

თანამედროვე პედაგოგიურ მოღვაწეთაგან საყურადღებოა მეცნიერისა და პედაგოგის შალვა ამონაშვილის შეხედულებები აღზრდაზე:

იმაზე დიდი საქმე, რაც ბავშვის აღზრდაა, მგონი, ჩვენ ამქვეყანაზე არ გვაქვს. ბავშვს როდესაც ვზრდით, გულს ვდებთ მასში, სიყვარულს ვდებთ, ჩვენს გამოცდილებას, ცოდნას, მონდომებას. თუკი რამე გვაქვს, მისთვის გვინდა ხოლმე, რომ გავიღოთ, არამარტო სულიერი, არამედ მატერიალურიც. თუ ქვეყანას კარგ ბავშვს გაუზრდი, ბედნიერი დედა ხარ მაშინ. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, - ეს სწორედ ჩვენი, მშობლების ღირსებაზე მიუთითებს. ამრიგად ბევრი უნდა ვიფიქროთ ბავშვების აღზრდაზე, რა გვინდა მათგან, რა გვინდა გამოვიყვანოთ ისინი. რაც მთავარია კაცად კაციო, როგორც ილია იტყოდა ხოლმე.

ბავშვები ხშირად გვიერთდებიან მაგიდასთან, სუფრასთან. ხანდახან ჩვენც ვიწვევთ ხოლმე. ქართული სუფრა, თუ წესებით წარიმართება, აღმზრდელია. ხშირად ჩვენ ვარღვევთ ხოლმე ამ წესებს და ღრეობაში გადადის ხოლმე სუფრა. თუ მაგიდა კეთილშობილურია, ადამიანები საუბრობენ, ცხოვრების ამბებს ეხებიან, რაღაც

სიბრძნეზე ლაპარაკობენ, წარსულს იხსენებენ, მომავალს გეგმავენ, არ გაგვიკვირდეს, რომ აქ შემოგვიერთდეს ექვსი წლის ბავშვი და რაღაც თავისი კითხვა დასვას. ჩვენ პრინციპი გვაქვს, რომ ბავშვი უნდა მივიღოთ, როგორც თანატოლი. თუ ის სუფრაზე მოიწვიეთ, მაგიდის წევრია. რატომ გინდათ ის მეორეხარისხოვნად მიიჩნიოთ?! ბავშვს უნდა თქვენი ტოლი იყოს. ზოგჯერ ბავშვი ისეთ კითხვას დაგვიყენებს, ჩიხში მოგვაქცევს ხოლმე. ამან არ უნდა გაგვაბრაზოს ჩვენ. მაღლობა უნდა ვუთხრათ ბავშვს, სერიოზულად დაველაპარაკოთ, ავუხსნათ, ვუპასუხოთ. ახლანდელი ბავშვები არ გეგონოს 30-50-60-იანი წლების ბავშვები. ისინი სხვა ბავშვები არიან. მათ თავიანთი სხვანაირი გონებრივი აქტივობა, სითამამე აქვთ, ნუ წაართმევთ ამ სითამამეს.

თუ რაღაც უზრდელობა მოხდება ბავშვის მხრიდან, სალამოს მშობელმა უნდა უჩუროს: შვილო, იქნებ სხვა დროს მაგიდასთან ასე მოიქცე. ჩვენი მაგიდის წესი ასეთია და ისეთია. ბავშვი, ალბათ, ამას გამოასწორებს. თუ ბავშვი მაგიდასთან მოიწვიეთ, ის ამ მაგიდის წევრია. იმან მარტო კი არ უნდა გისმინოთ პირდაღებულმა, ის გისმენთ, თქვენთან ერთად აზროვნებს, თავის დონეზე თავისი კითხვები უჩნდება. ძალიან სერიოზულად უნდა მოუსმინოს ბავშვს სტუმარმაც და მშობელმაც. ასეთია ჰუმანური პედაგოგიკა. ავტორიტარული იტყოდა, აბა ახლა აქედან აიბარგე, ვინ გეკითხება შენ ამდენს რომ ლაპარაკობო. ბავშვიც აიბარგებოდა, წავიდოდა. ეს არის ბავშვი მტრად გაზარდეო, რომ ამბობენ. ასე გაზრდილი ბავშვი ამ უხეშ ფორმებს რომ მიიღებს, რას დაგვიბრუნებს მერე, იმავეს, არა?!

„მშობლებს ვურჩევ, რომ სიტყვა დასჯა არ გაიხადონ, როგორც აღზრდის მთავარი ცნება. გამოაგდეთ ეს ყველაფერი. დასჯა კი არ უნდა, წახალისება უნდა ბავშვს. ეს უფრო ვიფიქროთ, როგორ მივიყვანოთ ბავშვი რაღაცის გაგებამდე. ამაზე მეტი ვიფიქროთ, რომ კარგი პედაგოგიკა მოვნახოთ, თორემ დასჯის პედაგოგიკის გამონახვას დიდი ძეხნა არ უნდა. შედეგებიც ძალიან ნაკლები აქვს ამას. გვემინია, რომ თუ ბავშვი სიკეთეში გავზარდეთ და მოხვდება ბოროტებაში, ხომ არ დამარცხდება. თეორიულად დავუშვათ, რომ ბავშვი მოხვდება გარემოში, სადაც ბევრი ბოროტებაა, იმან ფეხი წამოკრა რაღაცას, გული ეტკინა. აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ჩვენ ეს უკვე ოჯახში უნდა ვუჩვენოთ ბავშვს?! ლალატი უნდა ვუჩვენოთ, ორპირობა, ძალადობა და უხეშობა, რომ ამ გამოცდილებით გაუძღვებს ბაზარსაც და ქუჩასაც?! ჩვენი აღმზრდელობითი ამოცანაა, მივცეთ ბავშვს ყველაფერი საუკეთესო. ნათქვამია:

ჩაიძინე სიკეთე და მოხდეს, რაც მოხდებაო. ჩვენ უნდა მივცეთ ბავშვს სიყვარული სუფთა, დანდობა სუფთა, შენდობა გულწრფელი. ყველაფერი უნდა მივცეთ რაც შეიძლება დახვეწილი. თუ ამას მივცემთ, ეს ისეთი სიძლიერეა ადამიანის სულისა, რომ ასეთი სულის ადამიანი ყველაფერს გაუძლებს. თქვენ გგონიათ, ბოროტი უფრო გაუძლებს ბოროტებას?! სიკეთე უფრო გამძლეა, მაგრამ ჩვენ ამას არ ვენდობით ხშირად.

ამრიგად, აღზრდის შესახებ შეხედულებები გამოხატულია ყველა დიდი მამულიშვილისა და ქვეყნის ბედზე მზრუნველ მოღვაწეთა ნაშრომებში. მრავალთაგან აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები. ისინი ერის წინსვლის, ქვეყნის გაძლიერების უპირველეს საწყისად განათლებას მიიჩნევენ. მაგრამ აუცილებლობად თვლიდნენ ცოდნასთან ერთად ზნეკეთილობას და მამულიშვილური მოვალეობის შესრულებას.

მეცნიერი და პედაგოგი შალვა ამონაშვილი აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ქართული ტრადიციების დაცვას მიიჩნევს და საუბრობს ქართულ სუფრასთან მოქცევის წესების დაუფლებაზე, სადაც იგი ისწავლის ურთიერთობას, წასული ადამიანების ხსოვნის პატივისცემას, პიროვნული თვისებების დაფასებას.

## **§2 ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად უნდა გრძნობდეს**

საზოგადოებაში შექმნილი ვითარება სკოლასთან და ოჯახთან ერთად საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელიცაა. საზოგადოებრივი პროგრესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალი საზოგადოების ზრუნვას ბავშვის სოციალური დაცვისთვის.

დემოკრატიული საზოგადოების განათლების მიზნები თითოეული ბავშვისთვის თვითგამოხატვისა და თვითგანვითარების პირობების შექმნას ითვალისწინებს. ბავშვის აწმყო და მომავალი ყოველთვის არის ჯანსაღი საზოგადოების საზრუნავი. განსაკუთრებით აქტუალურია იგი თანამედროვეობისთვის. საზოგადოებას გადამწყვეტი ცვლილებების შეტანა შეუძლია ბავშვისა და მოზარდის აღზრდის, განვითარების, პიროვნული განვითარებისათვის შესაფერისი გარემოს შესაქმნელად.

ბავშვი ან მოზარდი იზრდება იმ საზოგადოების სოციალური, ისტორიული, კულტურული გავლენით, რომელშიც ცხოვრობს. განვითარების პროცესი წარმოადგენს რთულ დიალექტიკურ პროცესს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალმხრივობა და სტრუქტურის პერიოდული ცვალებადობა. ეს ერთი მხრივ გამოწვეულია რთული გარეგანი და სუბიექტური ფაქტორით, გავლენით მეორე მხრივ გარემოსთან



ადაპტაციას და ურთიერთობისას წარმოქმნილ წინააღმდეგობათა გადალახვის პროცესების გავლენით. ამ პროცესში ორივე შემთხვევაში სოციალური ფაქტორის მნიშვნელობა არსებითია და ინდივიდის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი კომპონენტის როლს ასრულებს.

გარშემო ბევრი რამ იცვლება. ცვლილებები ჩვენი ეპოქის მთავარი მახასიათებელი გახდა. ისინი უწყვეტად მიმდინარეობს ცხოვრების ყოველ საფეხურზე.

საზოგადოებაში არსებული უკლებლივ ყოველი ცვლილება პირდაპირი თუ ირიბი გზით, იმ გარემოცვაზეც აისახება, რომელშიც ბავშვები იზრდებიან და სწავლობენ.

გავიცნოთ რამდენიმე მიმართულება, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო-საადამიროლო გარემოს ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს:

- ინოვაციური სასწავლო და აღმზრდელობითი პროგრამები (სკოლისა და ოჯახისათვის).
- უახლესი კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში.
- ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებული გამოცდილების ინტენსიური გამოყენება.
- მართვის პრინციპებისა და სასკოლო ურთიერთობათა დემოკრატიზაცია.
- თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების პრინციპები.
- ბავშვის დაცვის მქანიზმები.

აქვე ჩნდება კითხვა: რა გზებითა და ხერხებით, რა კონკრეტული ნაბიჯებით მოვახერხოთ ყოველივე ეს? სად მოვიძიოთ საჭირო რესურსები? რით დავიწყოთ?

ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა ისაა, რომ ხშირად სათანადოდ არ არის აღქმული და გააზრებული მოვლენების განვითარება. მაშინ, როდესაც საზოგადოების აქტიურობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ზოგჯერ იგი გაღიზიანებული, პასიური მოლოდინის პოზიციიდან აკვირდება ბავშვების გარშემო მიმდინარე პოზიტიურ თუ ნეგატიურ გარდაქმნებს. მომავალი, რომელიც ბავშვების საცხოვრებელ და სამოღვაწეო ასპარეზს ამზადებს, გაცილებით სერიოზულ გააზრებულ მიდგომას მოითხოვს დღევანდელი საზოგადოების ყოველი წევრისგან.

ბავშვის განვითარებასა და საარსებო გარემოს ფორმირებაზე, გადამწყვეტ როლს ასრულებს სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. ისინი უმეტესწილად განსაზღვრავენ ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესის აკვარგიანობასა და ეფექტურობას.

რა სახის ურთიერთობაა დასახელებულ რგოლებს შორის და რამდენად ეფექტური და ნაყოფიერია ის? სამწუხაროდ მოცემულბა არცთუ სასურველ სურათს გვთავაზობს.

ძირითადი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ამ სამი რგოლის გაერთიანებას ერთ დიდ სამკუთხედად, არის მშობლის, პედაგოგისა და საზოგადოების (თემი) **გათიშელობა**. შეუძლებელია ამან საკუთარი კვალი არ დატოვოს ბავშვის ცნობიერებაზე. დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი სკოლასა და ოჯახს ცლკ-ცალკე მოიაზრებს.

სივრცე: სკოლა - ოჯახი - საზოგადოება, რომლის გარემოცვაშიც მოსწავლე სწავლობს და იზრდება, შესაძლოა გაერთიანდეს ან გაითიშოს.

თანამშრომლობისათვის უამრავი პირობა არსებობს. მათ შორის უმთავრესია: დაეხმარო მოსწავლეს, წარმატებას მიაღწიოს სწავლაში და შემდგომ ცხოვრებაში. როდესაც მშობლები, მასწავლებლები და ყველა მოზრდილი ადამიანი თანაბრად იზიარებს პასუხისმგებლობას ბავშვისა და ახალგაზრდების აღზრდა-განათლებაზე და თავს ერთმანეთის პარტნიორებად მიიჩნევენ, მოსწავლეთა გარშემო იქმნება და მუშაობას იწყებს მზრუნველი საზოგადოება.

განვიხილოთ მოდელები, რომლებიც ცხადყოფენ სოციალური გარემოსა და სკოლის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზანშეწონილობას.

**I მოდელი:** სკოლა მხოლოდ მიუთითებს საზოგადოებას თავის საჭიროებებზე, გამოთქვამს სურვილებს და იძლევა ინფორმაციას. სკოლასა და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს რომელიმე ფორმალური სტრუქტურული ერთეული. ამ შემთხვევაში მასწავლებლები ბავშვების ცხოვრებას სკოლაში ყოფნის პერიოდად აღიქვამენ და ოჯახს სკოლისაგან ცალკე მოიაზრებენ.

**II მოდელი:** განსხვავებული ვითარება იქმნება მაშინ, როდესაც პედაგოგები ბავშვებში პიროვნებებს ხედავენ. სკოლა - ოჯახი - საზოგადოების გაერთიანებით ისინი პარტნიორები ხდებიან, რომლებიც კარგად აცნობიერებენ თავის ინტერესებს ბავშვების მიმართ და ერთობლივად მუშაობენ მათთვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში აღნიშნული რგოლები ძირითადად სკოლის ინიციატივას ეხმარებიან და აქედან გამომდინარე, მათ შორის ინტერესთა ნაწილობრივი გადაფარვის სფეროები ყალიბდება. საერთო ინტერესის არსებობის შემთხვევაში ეს რგოლები ერთმანეთს შორდება.

**III მოდელი:** როცა ყველა თანაბარ პოზიციაშია, სკოლა, ოჯახთან და საზოგადოებასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს თანაბრადაა განაწილებული უფლებები და მოვალეობები მომავალ თაობაზე ზრუნვის საკითში. (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს საქმიანობით).

სკოლა აქამდე ნახევრად ჩაკეტილ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ახალი წესდებით მოხერხდა სკოლის ირგვლივ არსებული „გალავნის“ რღვევა. სკოლა გალავანს შიგნით მოქცეული და თავის პრობლემებთან ერთად საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი არ უნდა იყოს.

სკოლის გარშემო საზოგადოებაში არსებობს უამრავი რესურსი, რომელთა მოძიება და გამოყენება ნებისმიერი სკოლისთვის მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარი იქნებოდა.

მოსწავლეთა წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია ყველა გულშემატკივარ ძალთა გაერთიანება.

საჭიროა სკოლის სპეციფიკის (კონტიგენტი, მასწავლებელთა შემადგენლობა, გეოგრაფიული მდებარეობა, რეიტინგი) შესაბამისად შეიქმნას თანამშრომლობის

ისეთი მოდელი, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთეულის თანასწორუფლებიანი და მიზანმიმართული საქმიანობის საფუძველი გახდება საერთო მიზნის გარშემო.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ეწევა მიზანმიმართულ საქმიანობას მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები, რომელთა მიზანია ადამიანთა ცოდნისა და უნარის მიმართვა თანამშრომლობისა და პარტნიორობისათვის ბავშვის საკეთილდღეოდ.

საქართველოში წარმატებულ საქმიანობას ეწეოდა ასოციაცია სკოლა, ოჯახი, საზოგადოება (პრეზიდენტი პაატა პაპავა). ისინი შესანიშნავად იყენებდნენ მათ გარშემო მყოფი პედაგოგებისა და მშობლების რესურსებს ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრაში.

სამართლებლივ სახელმწიფოში არსებობისათვის საზოგადოებას ჭირდება ახლებურად აზროვნება, კანონის უზენაესობის დამკვიდრება, ადამიანისა და ბავშვის უფლებების დაცულობა. ახალგაზრდა თაობის არა მარტო ახალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში გზის გაგნება, არამედ მოქმედების სტრატეგიებისა და ცხოვრებისეული რეალიების სწორი აღქმის უნარის განვითარება ესაჭიროება.

განათლების სისტემაში დემოკრატიულ ატმოსფეროს დაამყარებს ისეთი საგანმანათლებლო პროცესი, რომელშიც განათლებაში მონაწილე ყველა სუბიექტი - სახელმწიფო, საზოგადოება თუ პიროვნება თანაბარ მონაწილეობას მიიღებს.

საზოგადოებაში შექმნილი ისეთი გარემო, სადაც ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს, განაპირობებს ეროვნული განათლების მიზნების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას.

საზოგადოების განვითარებს დონე განისაზღვრება იმით თუ რადმენადაა დაცული ადამიანის, ბავშვის უფლებები.

ბავშვის უფლებათა კონვენციის პროამბულაში აღნიშნულია: კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ გაეროს მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი.

ბავშვთა უმთავრესი პრობლემაა იყვნენ განსაკუთრებული მზრუნველობით გარემოსილნი.

ბავშვის დაცვის სამართლებლივი თუ სხვა სახის მექანიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობა როგორც დაბადებიდან ისე დაბადების შემდეგ ქმნის ბავშვისთვის დაცულობის გარანტიას. იმ საზოგადოების კულტურული ღირებულებებისადმი პატივისცემა, რომელშიც ბავშვი იზრდება და ბავშვის უფლების დაცვის მიზნით, საერთაშორისო თანამშრომლობა უდიდესი მნიშვნელობის გლობალური პრობლემაა.

აქტუალური გახდა ბავშვის დაცვის პრობლემების მოგვარება.

დაცვა მოიაზრება როგორც პოლიტიკური, სახელმწიფო პროცესი, რომელიც შედგება ქმედებებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო ან სახალხო ინტერესების კანონად ტრანსფორმაციისთვის. პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გავლენა მოახდინოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება პოლიტიკა და კანონებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. მოქმედებები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოების ყურადღებას საკითხებისადმი და აიძულებენ პოლიტიკოსებს, მთავრობებს მიიღონ გადაწყვეტილებები. ( იხ. ტერმინთა განმარტება წიგნში „ქალის უფლებები“ 1997წ. გვ.191).

ბავშვის განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა დაცვის ქენევის 1924 წლის დეკლარაციით და გაეროს 1959 წლის ბავშვთა უფლების დეკლარაციით. (დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს თანხმობას სტანდარტის თაობაზე, მაგრამ არ არის სამართლებრივად სავალდებულო).

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ბავშვს ფიზიკური და გონებრივი უმწიფრობის გამო ესაჭიროება მზრუნველობა და დაცვა როგორც დაბადებამდე, ასევე დაბადების შემდეგ.

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის უფლებების დაცვას მთელ მსოფლიოში (კონვენცია არის სახელმწიფოთაშორისო სამართლებრივად სავალდებულო ხელშეკრულება).

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კონვენციის მიღებით შექმნა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები. სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ კონვენციის რატიფიცირება (რატიფიცირება არის საერთაშორისო სამართლის პროცესი, რომლის მეშვეობით კონვენცია ხდება სამართლებრივად სავალდებულო და სახელმწიფო ანგარიშვალდებულია კონვენციის წინაშე დაიცვას შეთანხმებით დაკისრებული მოვალეობები).

ამჟამად ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 151 ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ 1994 წლის 21 აპრილს.

კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, ბავშვად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებები თანაბრად ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის, ექსპლუატაციის, უკანონო გადაადგილების, ძალადობის, ომისა და გაჭირვებისაგან.

დაცული უნდა იყოს ოჯახში ბავშვის ნორმალური ცხოვრება, საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა, საჭიროების შემთხვევაში დროებით ან მუდმივად მასზე იზრუნოს სახელმწიფომ. ბავშვს აქვს სიცოცხლის, მისი შენარჩუნების, სამედიცინო მომსახურების უფლება, ინვალიდი და ავადმყოფი ბავშვები უნდა სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებით.

ბავშვს აქვს განათლების, ინდივიდუალური განვითარების, გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა სრული გამოვლენის უფლება.

ბავშვს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრი და შეხედულებები ნებისმიერი საქმის განხილვისას, მიიღოს ან გასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

კონვენცია აღიარებს შვილად აყვანის სისტემის არსებობას, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიების არსებობის შემთხვევაში.

კონვენცია ითვალისწინებს ბავშვის ჯანმრთელობის საზიანო სამუშაოს შესრულების, ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გამოყენების, ბავშვის მოტაცების, ბავშვების ვაჭრობის, კონტრაბანდისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისაგან დაცვას.

თავისუფლება აღკვეთილი ბავშვები ექვემდებარებიან განსაკუთრებულ წესებს, კანონებს, სამართლებრივი ზომები, კანონდარღვევები არასრულწლოვანთა მიმართ ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიებს და მიმართულია მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისაკენ.

კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლისთვის შექმნილია კონვენციის მეთვალყურე კომიტეტი ექსპერტთა შემადგენლობით, რომელიც განიხილავს მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებს კონვენციის განხორციელებული მდგომარეობის შესახებ. კომიტეტს შეუძლია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ცალკეულ საკითხებთან შესასწავლად საგანგებო კვლევათა ჩატარება. კომიტეტის მუშაობაში საზოგადოების გავლენის გაზრდის მიზნით მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციები: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს განათლების მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, სხვადასხვა მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.

ბავშვთა უფლებების დაცვა ასახულია ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო დეკლარაციაში, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში (23-ე, 24-ე მუხლები). ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში (მე-10 მუხლი).

როგორც ამ მცირე მიმოხილვიდან ჩანს ბავშვთა დაცვა, საკანონმდებლო ბაზა და მისი შესრულების აუცილებლობა არსებობს. განხორციელების ხარისხი კი საზოგადოებაზე (თემზე დიდად არის დამოკიდებული, რადგან ბავშვის ცხოვრებასთან ის ახლოს ხედავს მას ყოველდღიურობაში, თავად საზოგადოება ქმნის გარემოს, სადაც ბავშვი თავს კარგად იგრძნობს.

ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და აღიზარდოს მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობის და სოლიდარობის სულისკვეთებით, ეს კი შესაძლებელია იქ, სადაც ბავშვი თავს დაცულად გრძნობს. საამისოდ კი საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, მან უნდა შექმნას პირობები ადამიანის ინტელექტუალური, ზნეობრივი თვისებების, შემოქმედებითი უნარების

გამოსამყდვენებლად ანუ თვითრეალიზაციისთვის. ცხოვრების წესი და დონე განისაზღვრება არა მხოლოდ მაღალი ეკონომიკური სტანდარტებით, არამედ მაღალი სოციალური მოთხოვნილებებითაც.

ამრიგად, განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროება საზოგადოებას ბავშვის სოციალური დაცვისთვის. ეფექტურია სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ის მოდელი, რომლის მიხედვითაც, ყველა თანაბარ პოზიციაშია, სკოლა, ოჯახთან და საზოგადოებასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს თანაბრადაა განაწილებული უფლებები და მოვალეობები მომავალ თაობაზე ზრუნვის საკითხში. (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს საქმიანობით).

საზოგადოების აქტუალური პრობლემაა ბავშვთა უფლებების დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი აღიზარდოს ადამიანის ღირსების პატივისცემის, თანასწორობის, კეთილგანწყობილ საზოგადოებრივ გარემოში.

ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად რომ გრძნობდეს უმთავრეს და უპირველეს პირობებად მიგვაჩნია აღმზრდელობითი საქმიანობის წარმართვა ეროვნული პატრიოტული, ტრადიციული, ღირებულებების სწავლებითა და დაცვით, რათა სწორი მიმართულება მიეცეს ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდას.

### **§3 მშობლების წერილები შვილებს**

მშობლების რჩევები, დარიგებები შვილებისადმი ხშირად გასცდება ოჯახურ გარემოს და საერთო საკუთრება ხდება. გასაუბრებით გავარკვიე, რომ შვილიშვილებს ახსოვთ ბაბუის რჩევა, რომელიც პროფესორმა მიიღო ბავშვობაში თავისი გლეხი მამისაგან: შვილებო, ნუ ეტყვით კაცს იმას, რაც ეწყინებათ, მთელი ცხოვრება ამ რჩევის შესრულებას ვცდილობდი, ბევრეჯერ ვერ შევძელი, იქნებ თქვენ შესძლოთო. შემდეგ აბაშიძე იგონებს, რომ მამაცემი ხშირად გავრიგებდა: როცა ხეივანი კაცის წინ ჩაივლი, ამაყად ნუ გაივლიო.

განსაკუთრებით გავლენიანი აღმოჩნდა მშობლების წერილები შვილების მიმართ. ამ მიმართებით, წყაროების ანალიზით საკმაოდ ვრცელი მასალა აღმოჩნდა შევარჩიეთ რამდენიმე, იგი სხვადასხვა ქვეყნის მამებს ეკუთვნით, მაგრამ აერთიანებს ერთი - შვილის ზნეობრივი აღზრდის პრობლემა.

ნაშრომში კომენტარის გარეშე ჩავრთეთ ზოგიერთი წერილი:

## მიხეილ ჯავახიშვილის წერილი ქალიშვილისადმი

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.
2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, შენი პირადი მეგობარი.
3. ყველაფერ, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის, შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.
4. მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.
5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე, ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.
6. განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.
7. გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცუდლუტობა სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავს.
8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ, ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.
9. თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამყდებ.
10. ბოლოს და ბოლოს ყოველთვის სჯობს სამი რამ: პირველი - შრომა, მეორე - შრომა და მესამე - შრომა.

ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე.

შენი მოსიყვარულე მამა, მიხეილ ჯავახიშვილი.

## ჭაბუა ამირეჯიბის წერილი ახალგაზრდებს

შვილებო და შვილიშვილებო! ეს წერილი თვრამეტისას წააკითხეთ თქვენს ბალებს! ჩემო პატარა ბატონებო და ქალბატონებო! ბატონობით მოგმართავთ, რადგან სულ ცოტა ათი არისტოკრატიული გვარისა და ბატონთა მოდემისანი ხართ. ოთხმოცისა გიტოვებთ ამ წერილს თქვენი პაპა და პეპერა მზეჭაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე ამირეჯიბი და თავს მოვალედ ვთვლი, ზოგი რამ გირჩიოთ: წარმომავლობა გიხსენეთ. სწორედ ეს უნდა იყოს პირველმიზეზი იმისა, რომ ამპარტავნობისკენ კი არა, თავმდაბლობის, მიმტევებლობისა და სიყვარულისკენ უნდა მიიდრიკოს თქვენი ხასიათი, სიცოცხლისა და სამყაროსადმი დამოკიდებულება.

მთავარი მაინც ის არის, რომ თქვენ მხოლოდღა დედ-მამისა და ბებია-პაპების ნაშიერი კი არა, ქართველი ერის შვილები ხართ ისევე, ყოველი ქართველი

მამულიშვილი – ერისა, რომლის უანგარო სამსახურს შეალიეს თავისი სიცოცხლე ჩვენ წინაპართაგან ურჩეულესებმა.

უნდა იცოდეთ და ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას ითვალისწინებდეთ, რომ ხალხი, როგორც ფენომენი, მხოლოდღა დღესდღეობითი ნაწილია იმ მარადიულობისა, რასაც ქართველი ერი ჰქვია, ხოლო ერის საწყისი და ძირითადი ბირთვი ოჯახია, რაიც თავად თქვენც უეჭველად უნდა შექმნათ და იმრავლოთ, რათა ხსენებული მარადისობა უზრუნველჰყოთ.

ეს თქვენი წმინდათაწმინდა ვალია! სამშობლოში თქვენი ოჯახის ელჩი და სახე უნდა იყოთ, სამშობლოს გარეთ თქვენი ერის სინდისი და ღირსება. უნდა ეცადოთ, არავინ გბულდეთ.

სიძულვილი ბოროტებას ბადებს. მტრისაც კი პატივისცემა გმართებთ, რადგან იგი თქვენში მებრძოლეს აყალიბებს. ჩინური ანდაზაა – თუ გინდა იდგე – სულ უნდა ირბინო. იგულისხმება განუწყვეტელი მოქმედება. ასეთები იყვენენ თქვენი წინაპრები, მათ შორის თქვენი პაპები და პეპრები.

## ჩარლი ჩაპლინის წერილი ჯერალდინას

### ჩემო გოგონა

ახლა ღამეა. შობა ღამე. ჩემს პატარა ციხესიმაგრეში ყველა უაბჯრო მეციხოვნემ ძილს მისცა თავი. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა. შენ ისე შორს ხარ ჩემგან... მაგრამ დაე, თვალისჩინი წამერთვას, თუ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ. ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი ღამის მდუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავებივით რომ კიაფობენ. ვიცი, ამ ღამაზე სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების



სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!... იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწია ზღაპრებს გიყვებიდი! ხან მძინარე მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპისას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი: გამშორდი! მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანებიან! მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს, ცაზე მოფარფატე ფერიას. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში: ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია, არ გახსოვთ ჩარლის რომ ეძახდნენ? ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსი გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება, ცხოვრება იმ ქუჩის მოცეკვავეებისა, შიმშილისაგან დაოსებულნი, სიცივითა და სიღატაკით ათრთოლებულნი რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც მიწვნივია, ჯერალდინა. იმ ჯადოსნურ ღამეებში, შენ რომ ჩემს ზღაპრებთან იძინებდი, მე არ მეძინა. დავყურებდი შენს საყვარელ სახეს, ვუსმენდი შენი გულისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხებოდი: ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი შენ ოდესმე გაგიცნობს? შენ არ მიცნობ მე ჯერალდინა... იმ შორეულ ღამეებში უამრავ ზღაპარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიაშბია... ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშვიერი მასხარისა, ლონდონის ღატაკთა კვარტლებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი ... მოწყალებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი! მე ვიცი, რა არის შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა, რომლის მკერდში მოზობოქრე სიამაყის ოკეანე სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცოტას ლაპარაკობენ. შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ლამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელს დედამიწას აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტირია, ჯერალდინა. სამყარო სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როდია!... ჯერალდინა! შუადამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი ფეხმძიმედ

ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ რომ თავიანთი პირმშოსათვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში. მე ბანკში ნათქვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ ყველას ზუსტად გადაუხადე! დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივობლებს შეხედე! და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: მეც ერთერთი ამათთაგანი ვარ! დიახ, შენ ერთ-ერთი იმათაგანი ხარ, ჩემო გოგონა. ხელოვნება, სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს უბოძებდეს ადამიანს, ჯერ ფეხებში ურტყამს... როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მალღებები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭირე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს, შენსავე მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს. შენი თეატრის პროექტირების თვალისმომჭრელ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროექტორი მთვარეა. დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს... ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ... მე არ მინდა, ოდესმე სილატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო და ამ უცნობ ლატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ. ფულზე იმიტომ გელაპარაკები, რომ კარგად ვიცი ამ დემონის მაცდური ძალა... ჯერალდინა, მე დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შევცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრა ჩემო გოგონა... ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე. შეიძლება ამ საღამოს თვალი მოგტაცოს რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გამოუცდელებს კი ბაგირი მუდამ ღალატობს, ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვნათის. ხოლო, როცა ჟამი დაჰკრავს და

სიყვარული გეწვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული...სამუშაო ძნელი გაქვს, ვიცი...  
სხეულს სიფრიფანა აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს. ხელოვნების სახელით სცენაზე  
შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევე უფრო უმწიკვლო და შემოსილი  
უნდა დაბრუნდე...მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ ჟღერს,  
მაგრამ მაინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც შენს  
გაშიშვლებულ სულს შეიყვარებს. რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე  
მოდველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევე ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ  
გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს... ჯერალდინა, მე მინდა რომ შენ ამ შიშველთა  
კუნძულის უკანასკნელი ქვეშევრდომი იყო...მე ვიცი, მამებს და შვილებს ნიადაგ  
ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს  
მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს,  
რომ ეს შობაღამე სასწაულების ღამეა. მინდა მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო  
ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა. ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა!  
ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს  
საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე  
იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა  
ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი. მე ანგელოზი  
არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გკოცნი, ჯერალდინა

**შენი ჩარლი.**

### **ლევ ტოლსტოის წერილი შვილს**

ჩემო ძვირფასო ილია,

კეთილდღეობა შედგება იმ ადამიანებისგან, რომელთაც უყვარხარ და გიყვარს. ამის  
მისაღწევად მე მაქვს სამი სტრატეგია, რომელსაც მუდმივად ვიყენებ. მათი პრაქტიკაში  
გატარება არასდროს არის საკმარისი და ახლა ეს შენ აუცილებლად გჭირდება.

პირველი, იმისათვის რომ შეძლო ადამიანების სიყვარული და მათგანაც  
დაიმსახურო, აუცილებლად უნდა მიეჩვიო, რომ რაც შეიძლება ნაკლებს ელოდე

მათგან – ეს ძალზედ რთული რამაა. თუ ბევრს ველი მათგან და ამის გამო, ხშირად მიგრუვდება იმედი, საბოლოოდ იძულებული ვარ უფრო საყვედურებით ავივსო მათ მიმართ, ვიდრე მიყვარდეს.

მეორე, იმისათვის, რომ გიყვარდეს ადამიანები საქციელით და არა სიტყვებით, აუცილებლად უნდა აკეთო ის, რასაც მათთვის სარგებელი მოაქვს. ამასაც მძიმე შრომა სჭირდება, განსაკუთრებით შენს ასაკში, როდესაც ამის სწავლა ადამიანის ბუნებრივი მოვალეობაა.

მესამე, იმისათვის რომ გიყვარდეს ადამიანები და მათაც უყვარდე, აუცილებელია ისწავლო თანაგრძნობა, მორჩილება და რთულ ადამიანებთან და საგნებთან ურთიერთობა – მათთან ისე მოქცევის ხელოვნება, რომ არ აწყენინო. ეს ყველაზე რთული სამუშაოა, რომელიც არ უნდა შეწყვიტო იმ წუთიდან როცა გაიღვიძებ, წუთამდე როცა ისევ ძილს მისცემ თავს. ამასთან იგი ყველაზე სასიამოვნო საქმეა, რადგან დღიდან დღემდე იზეიმებ შენი ზრდისა და განვითარების წარმატებას და საბოლოოდ მიიღებ დამატებით ჯილდოს, რომელსაც თავდაპირველად ვერ შეამჩნევ, მაგრამ ძალზედ სასიამოვნო გახდება მომავალში – ეს იქნება სიყვარული სხვა ადამიანთა მხრიდან.

### ჰარი ბრაუნის წერილი შვილს

ძვირფასო შვილო,

შობა ღამეა და ჩვეული პრობლემის წინაშე ვდგავარ – ვერ გადამიწყვეტია რა გაჩუქო. ალბათ მოგეწონებოდა წიგნები, სათამაშოები, ტანსაცმელი, თუმცა დღეს ძალზედ ეგოისტი ვარ და მსურს ისეთი საჩუქარი გაგიკეთო, რომელიც რამოდენიმე თვესა და წელიწადზე მეტხანს შეგრჩება. მსურს ამ საჩუქარმა, ყოველ შობა ღამეს, ჩემი თავი გაგახსენოს.

მხოლოდ ერთი რამის ჩუქება რომ შემძლებოდა, ალბათ იქნებოდა ის მარტივი სიმართლე, რომლის სასწავლად ბევრი წელი დამჭირდა. მჯერა, თუ ახლა ამას გაიგებ, ბევრ უაზრო ტკივილსა და პრობლემას აიცილებ თავიდან.

არავინაა შენ მიმართ ვალდებული.

ალბათ მკითხავ, რატომ შეიძლება ასეთი უბრალო განცხადება მნიშვნელოვანი იყოს? შესაძლოა, ასე არ ჩანს, მაგრამ მისი სწორად გაანალიზება ბევრ რამეს გასწავლის ცხოვრებაში.

არავინაა შენ მიმართ ვალდებული.

ეს ნიშნავს, რომ არავინ ცხოვრობს შენთვის, ჩემო პატარა. არავინ არ წარმოადგენს შენ პიროვნებას. ყველა ადამიანი საკუთარი თავისთვის ცხოვრობს და მხოლოდ საკუთარ ბედნიერებას შეიგრძნობს სრულად.

როცა მიხვდები რომ არავის ეკუთვნის შენი ბედნიერება ან სხვა რამე, მაშინ აღარავის დაუთმობ მათ.

ეს ნიშნავს, რომ არავის არ აქვს ვალდებულება უყვარდე. თუ ვინმეს უყვარხარ, მხოლოდ იმიტომ რომ შენში რაიმე განსაკუთრებული და უნიკალურია და ეს მას სიამოვნებას ანიჭებს. ეცადე იპოვნო საკუთარ თავში ეს უნიკალურობა და განივითარო – დარწმუნებული იყავი, რომ უფრო მეტად შეგიყვარებენ.

როდესაც ადამიანები რაიმეს აკეთებენ შენთვის, მხოლოდ იმიტომ რომ ეს მათ სურთ, რადგან შენც აძლევ მათ რაიმე ღირებულს, რის გამოც სურვილი უჩნდებათ რომ გასიამოვნონ.

არავინაა ვალდებული მოსწონდე. თუ მეგობრებს შენთან ყოფნა უნდათ, ეს შემთხვევითობა არაა. ისწავლე როგორ გააბედნიერო ადამიანები და ისინი ეცდებიან გვერდიდან არ მოგშორდნენ.

არავინაა ვალდებული პატივი გცეს. ბევრი ადამიანი შეიძლება ბოროტადაც მოგექცეს, მაგრამ როცა მიხვდები რომ არავის არ აქვს ვალდებულება კეთილად მოგექცეს და დაუშვებ იმ ფაქტსაც, რომ შეიძლება ადამიანები ბოროტად მოგექცნენ, შეძლებ თავიდან აირიდო ადამიანები, რომლებიც ზიანს მოგაყენებენ.

არავინაა ვალდებული შენ მიმართ და არც შენ ხარ ვალდებული ვინმეს მიმართ.

მხოლოდ შენ გაქვს პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე. მხოლოდ შენ ხარ ვალდებული რომ გახდე საუკეთესო ადამიანი, რომელიც შეგეძლო ყოფილიყავი. რადგან თუ ამას შეძლებ, სხვებიც მოისურვებენ იყვნენ შენთაც ერთად, მოგცემენ იმას რაც გჭირდება, იმის სანაცვლოდ რასაც მათთვის გაიღებ.

შეიძლება ზოგმა ადამიანმა არ მოისურვოს შენს გვერდით ყოფნა, გარკვეულ მიზეზთა გამო, მაგრამ როცა ასე მოხდება, ეძებე ურთიერთობები რომელიც თავად გასურს. ნუ აქცევ სხვის პრობლემას საკუთარ პრობლემად.

როდესაც ისწავლი, რომ თავად უნდა მოიპოვო ადამიანთა სიყვარული და პატივისცემა, აღარასოდეს დაელოდები შეუძლებელს და შესაბამისად, იმედიც აღარ გაგიცრუვდება.

სხვა ადამიანები არ არიან ვალდებულნი საკუთარი საკუთრება გაგიზიარონ, არც თავიანთი გრძნობები და ფიქრები და თუ ასე აკეთებენ, გახსოვდეს რომ შენ მოიპოვე მათი ნდობა, შენ დაიმსახურე მათი სიყვარული და პატივისცემა. მხოლოდ ამას ჯილდოდ ნუ ჩათვლი, რადგანაც შეიძლება დაკარგო. ისინი შენ გეკუთვნის, რადგან თავად მოიპოვე და დაიმსახურე.

დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდან როდესაც გავანალიზე, რომ არავინაა ვალდებული ჩემ მიმართ. არავინაა ვალდებული ჩემ მიმართ პატივისცემით, სიყვარულით, მეგობრობით, ქცევითა და თავაზიანობით. როგორც კი ამას მიხვდი, ჩემი ურთიერთობები დალაგდა, ვცდილობდი ყოველთვის ისეთ ადამიანებთან დამეჭირა ურთიერთობა, რომელთაც ის სურდათ რაც მე.

ამის გაანალიზება დამეხმარა მეგობრობაში, ბიზნესში, სიყვარულსა და უცხო ადამიანებთან ურთიერთობაში. ეს მარტივი ჭეშმარიტება ხშირად მახსენებს, რომ შემძლია მივიღო ის, რაც მსურს თუ სხვა ადამიანის სამყაროში შევალწევ. აუცილებლად უნდა მიხვდე რას ფიქრობს, რა უნდა და რისი სჯერა და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებ გაანალიზო თავად რა გასურს მისგან. მხოლოდ ასე შეძლებ შეინარჩუნო ურთიერთობები მასთან ვისთანაც ბევრი საერთო გაქვს.

ადვილი არაა ამ უბრალო სიტყვებით შეაჯერო ის, რაც წლების განმავლობაში მისწავლია, მაგრამ თუ ყოველ შობა ღამეს ამ წერილს ხელმეორედ გადაიკითხავ, დარწმუნებული ვარ ყოველწლიურად უფრო და უფრო ნათელი გახდება შენთვის.

ვიმედოვნებ ასე იქნება, რადგან ყველაზე მეტად მსურს გაიაზრო მარტივი ჭეშმარიტება, რომელიც თავისუფლებას გაჩუქებს:

არავინაა შენ მიმართ ვალდებული...

სიყვარულით,  
მამა.

## გაგა გომართულის ლექსი: წერილი შვილს

### წერილი შვილს

შენთვის ახლა იღება იმ ცხოვრების კარები  
სადაც სული ბოროტი ცდუნებებით ფეხს გვიდებს  
დრო დამდგარა გაიგო მამის დანაბარები  
სულ უბრალო ქართველის, სულ უბრალო მემკვიდრე  
აქედანვე დაიწყო მადლის კედლის შენება  
გულის ყველა უჯრედში სიყვარული დაანთე  
ორგულობით ნაშოვნი თუ კი ვინმემ შეგბედა  
შენი სულის გალავნად ერთგულება აღმართე  
სამართლიან ცხოვრებას მოაქვს ბევრი ტკივილი  
მოყვასისთვის განწირულს ბედი გახლის განსაცდელს  
შეგეცვლება გულწრფელი ეგ ბავშვური ღიმილიც  
და მიაღწევს ბოროტიც ბევრჯერ თავის საწადელს  
არ დანებდე, წამოდექ, ღმერთს შესთხოვე შენდობა  
არ დატოვო სასულე ცოდვებისგან მომსპარი  
სიცოცხლეა დროებით აღმართული შენობა  
და გახსოვდეს თავად ხარ მისი ხუროთმოძღვარი  
სხვისი გზებით ნუ ივლი, შენი ჰპოვე ბილიკი  
ასე უფრო მიხვდები რაა ჭეშმარიტება  
არ შეშინდე თუ მოგხვდა ძაგება და ქილიკი  
ბოროტისგან ნასროლი ნურც ის გაგიკვირდება  
გახსოვდეს რომ მიწა ხარ, ღმერთის ხელით ნაზელი  
და ყოველი სულდგმული ბოლოს მიწად იქცევა  
მხოლოდ გულით განცდილი, ცოდვის თავთან გამხელით  
სულის გადარჩენისთვის ბრძოლა ასე იწყება  
გვერდზე დგომა სჭირდება გაჭირვებულ მეგობარს  
დაჩაგრულის საშველად იყავ მხნე და მედგარი  
სულს ნუღარ დამიმძიმებ, საკუთარიც მეყოფა  
უმეცრებით, სისუსტით ავი ნამოქმედარი  
გამდიდრებას ადვილად ნურასდროს დააპირებ

მეგობარს რომ აირჩევ, ნდობა გქონდეთ ერთურთის  
თუ სამშობლოს დასჭირდი თავი შენი გაწირე  
რადგან შენი სიცოცხლე შენს ქვეყანას ეკუთვნის  
იმედი მაქვს მომავლის, შენც იქ მიიმედები  
მამულს ის ურჩევნია შვილი სჯობდეს მამასა  
სწრაფად გარბის ჩემი დრო, ხედავ? უკვე ვბერდები  
უანდერძოთ არა მსურს იმ ქვეყანას გადასვლა  
სამუდამო ქვეყნისკენ სანამ გავემგზავრები  
თუ რამეში მამტყუნებ, მაპატიე შემინდე  
უკეთესი სიცოცხლით გაიხურე კარები  
სულ უბრალო ქართველის სულ უბრალო მემკვიდრევ  
/გაგა გომართელი/

თავი II აქტივობები გაკვეთილგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის



## §4 თავისუფალი ნება და არჩევანი

საზოგადოების აღზრდაზე გავლენის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ თემას, როგორცაა: თავისუფალი ნება და არჩევანი, რადან აქ საუბარია თავისუფალი საზოგადოების, საზოგადოებრივი აზრის თავისუფლებაზე და მისთანანზე. სასწორი თავისუფალი ნებისა და არჩევანისა შესაძლებელია მიზეზი გახდეს არასასურველი ვითარების შექმნისა. ეს ცხადია სხვადასხვა გზით გავლენას ახდენს აღზრდაზე, მათ შორის გვაქვს (ელექტრონული ტექნიკა, პრესა) იგი აისახება როგორც ქცევაზე, ასევე არჩევანზე.

გარემოს ანალიზისა და დაკვირვების საფუძველზე საჭიროდ ვცანი ნაშრომში განმეთავსებინა მიზეზები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თავისუფლებისა და არჩევანის სწორად ხედვას, რამეთუ დღევანდელი მოსწავლეები ქმნიან ხვალისდელ საზოგადოებას.

შემოგთავაზებთ წყაროების ანალიზს და აქტივობებს სადამრიგებლო სათის გაკვეთილზე გამოყენებისათვის. აქტივობები ჩავატრე საგაკვეთილო პროცესის დროს, როგორც დამრიგებელმა და მხარდაჭერა მოიპოვა.

სწრაფცვალებად გარემოში განსაკუთრებულ ადგილს იწერს თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნება. არსებობს პრობლემა: თავისუფალია თუ არა ნება თავის მოქმედებაში, ანუ თავისუფლად, იძულების გარეშე გადაწყვეტს თუ არა ის, იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად, თუ ნებამ ყოველთვის თავისუფლად უნდა ისურვოს და იმოქმედოს.

თავისუფალ ნებასა და არჩევანზეა დამოკიდებული უმეტესწილად ადამიანთა სასიამოვნო და უსიამოვნო მდგომარეობა, მძიმე სიტუაციიდან სწორი გამოსავლის პოვნა. მიმოვიხილოთ თავისუფლების ცნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საკითხები“ მიხედვით.

**თავისუფლების** ცნება გულისხმობს ერთი მხრივ გონების, მეორე მხრივ გარკვეული ძალების მოქმედების ძალას ან შესაძლებლობას. თავისუფლება მოაზროვნე ადამიანის ხვედრია. იგი განასხვავებს ერთმანეთისაგან ცუდსა და კარგს. გონებისა და

თავისუფლების კავშირის აუცილებლობა ეფუძვნება მხოლოდ გონების ძალებს - აირჩიოს კარგი და ნება იქითკენ მიმართოს, გონების მქონე ადამიანს რომ არ ჰქონოდა თავისუფლება, მაშინ მას შეეძლებოდა კარგი ავისაგან გაერჩია, მაგრამ ვერ შეძლებდა მათგან ერთ-ერთი ამოერჩია. ე.ი. ვერ იმოქმედებდა თავისი გაგების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში გონება უსარგებლო იქნებოდა.

მეორეც, თავისუფლება აუცილებლად გულისხმობს ძალის ანუ მოქმედების შესაძლებლობას. იქ, სადაც არ არის მოქმედების შესაძლებლობა, არც თავისუფლებაა. თუ ადამიანმა აირჩია რაღაც კარგი, მაგრამ თუ არ აქვს ძალა და შესაძლებლობა ამ კარგისკენ მისწრაფებისა და მიღწევისა, მას არც თავისუფლება აქვს. აი, რატომაა, რომ ადამიანის თავისუფლება ვრცელდება იმ საზღვრებამდე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანთა ძალებს. სიმალიდან გადმოვარდნისას არ ძალუძს შეაჩეროს ვარდნა, ციხეში მყოფი გარეთ ვერ გამოვა. ამიტომ იტყვიან, თავისუფლება შეზღუდული აქვსო. ადამიანის თავისუფლება დამოკიდებულია იმ შესაძლებლობებზე, რაც ღმერთმა უბოძა (აქვს ფეხები, რომლითააც დადის, მაგრამ ვერ იფრენს).

ამგვარად, თავისუფლება კავშირშია გონებასთან და გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობასთან.

ნება არის ადამიანის გადაწყვეტილება, დაიწყოს ესა თუ ის მოქმედება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მოტივის გარეშე ბრმა, არაცნობიერი იქნებოდა. ნება უმეტესწილად მოქმედებს გრძნობადი მოტივების, ე.ი. სიამოვნება უსიამოვნების წარმოდგენათა ზეგავლენით. ნება ზოგჯერ არჩევანს განსაზღვრავს სწრაფად, არაცნობიერად (ბავშვებისა და ნაკლებგანვითარებული ადამიანის ქცევა), ზოგჯერ იძულების ზეგავლენით - (რისხვა, ძლიერი ვნება და ა.შ.). ამ დროს ცოტაა თავისუფლება, რადგან გონება არ მონაწილეობს მასში.

თუ ვნება დაბალი გრძნობადი ლტოლვების ზეგავლენით, მაგრამ ცნობიერად, გააზრების საფუძველზე აკეთებს არჩევანს და გონება გრძნობების იარაღია, ეხმარება არჩევანს, ხელმძღვანელობს ნებას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მოქმედება სავსებით თავისუფალია, ბევრი ადამიანი ემორჩილება ვნებებს, ბევრი ნების სიმტკიცით ამარცხებს თავის მავნე ჩვევებს და ზოგჯერ თავიდან იშორებს უძლიერეს ვნებებსაც.

ზოგჯერ ნება მოქმედებს წმინდა გონებისეული მოტივების შედეგად და მოქმედებს გრძნობათა მისწრაფების საპირისპიროდ (სხეულის ბიოლოგიურ მოთხოვნათა საპირისპირო არ იგულისხმება). როცა ნება ემორჩილება გონების მრწამსს და მოქმედებს თავისი გრძნობების საპირისპიროდ, თავისი სურვილების საპირისპიროდაც კი, აქ უკვე შეუძლებელია უარყოფილ იქნას თავისუფლება. აქ არჩევანია არა იმისა, რაც სასიამოვნოა, არამედ იმისა, რაც ჭეშმარიტებაა. ნების მოტივებს განსაზღვრავს არა შინაგანი მოტივები, არამედ თავად საგნის ღირსებები. ჩვენ ნებით ვემორჩილებთ კანონის ავტორიტეტს, მივისწრაფვით კეთილი ქცევისკენ.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ მოტივის შესახებ ფსიქოლოგიაში არსებული შეხედულება (დ. უზნაძე, ნ. ნათაძე და სხვები).

ნებისმიერი ქცევა არსებითი მხოლოდ მოტივის წყალობით ხდება. იგი ისეთნაირად ცვლის ქცევას, რომ სუბიექტისთვის მისაღები იყოს. ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს.

ადამიანის მიერ რაიმე საკითხის გადაწყვეტის აქტს წინ უსწრებს აზროვნების პროცესი, რომლებმაც უნდა გაარკვიოს, თუ რა ქცევას სუბიექტისთვის მიზანშეწონილი იმისთვის, რომ მას ნამდვილი გადაწყვეტილება მოჰყვას, კიდევ რაღაც არის საჭირო: ის, რაც ობიექტურად მიზანშეწონილია, მოცემულ პირობებში, ჯერ კიდევ მოკლებულია მიმზიდველობის ძალას, ჯერ კიდევ ცივს, ინდეფერენტულ დებულებას წარმოადგენს, რომლიდანაც აქტიურობის იმპულსი არ გამომდინარეობს. იმისთვის, რომ ეს მოხდეს და სუბიექტმა სწორდ მისი განხორციელება გადაწყვიტოს, ახალი ფაქტორის ჩარევას საჭირო. ამ ახალ ფაქტორს მოტივი წარმოადგენს.

მოტივი ქცევის შესატყვის მოდიფიკაციის დროს ძირითადად ემყარება ნების მოთხოვნებს. ყოველი პირადი მოთხოვნილება სრულიად გარკვეულ, სიტუაციასთანაა დაკავშირებული. იგი სრულიად გარკვეული ბუნებრივი მოთხოვნილებაა. მაგალითად შიმშილი. როცა ადამიანს შიმშილის მოთხოვნილება გაუჩნდება, იგი მისი დაკმაყოფილებისთვის დაიწყებს ზრუნვას. იგი თავის მოქმედებას რაღაც ფარგლებში აყენებს - არ ჭამს ყველაფერს იმას, რაც გააჩნია, არამედ ითვალისწინებს, რომ შიმშილის მოთხოვნილება შემდეგშიც ექნება.

ადამიანს აქვს ე.წ. უმაღლესი მოთხოვნილებაც, ესაა ინტელექტუალური და ესთეტიკური მოთხოვნილებები. ადამიანია რასაც ხედავს, რასაც აკეთებს სიკეთისა და მშვენიერების იდეით უნდა ხელმძღვანელობდეს. ხშირად დაბალი პირადი მოთხოვნილებები უკავშირდება მაღალს. ამრიგად, საჭმელი უფრო გემრიელად მოგეჩვენება თუ იგი ლამაზ ჭურჭელში ლამაზად გაწყობილ მაგიდაზე დევს.

ადამიანისთვის დამახასიათებელია, რომ იგი ყველა თავის მოთხოვნილებას, რომელსაც იგი სსრულიად გარკვეულ მომენტში და გარკვეულ პირობებში უჩნდება, თავის „მე“-ს მუდმივს, მაღალს, გარდაუვალ მოთხოვნილებას უკავშირებს და მათ დაკმაყოფილებაზე ამის და მიხედვით ზრუნავს. ასეთი ადამიანისთვის უმაღლეს მოთხოვნილებას აქვს მეტი ძალა, ხოლო სხვა ტიპის ადამიანისთვის პირადი მოთხოვნილებაა ცხოვრების განმსაზღვრელი. ზოგისთვის ესთეტიკური მოთხოვნილებაა ძირითადი, ზოგისთვის - მორალური და ამრიგად, ყველა ადამიანს თავის განწყობილება აქვს ამა თუ იმ მოთხოვნილების შერჩევას. თითოეული საგანი, თუ მოვლენა, იმის მიხედვით ფასდება თუ რა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია.

როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგება თუ როგორ მოიქცეს, შემდეგი გარემოება იჩენს თავს: იმ შესაძლო მოქმედებათაგან, რომელთაც მისი გონება სცნობს მიზანშეწონილად, მხოლოდ ზოგი იზიდავს გარკვეული ადამიანები მხოლოდ ზოგიერთის მიმართ გრძნობს მზაობას, მხოლოდ ზოგიერთს მიიჩნევს როგორც შესაფერისს, როგორც ჭეშმარიტად მიზანშეწონილს. მოთხოვნილებების აზრი სწორედ ამაში მდგომარეობს: იგი ისეთ მოქმედებას ეძებს, რომელიც პიროვნების ძირითად , ცხოვრებაში განმტკიცებულ ქცევას შეეფერება: როცა სუბიექტი ქცევის ასეთ სახეს მიაგნებს, იგი განსაკუთრებულად განიცდის მას. იგი ერთგვარ მიზიდულობას გრძნობს მის მიმართ.

იგი მისი შესრულებისათვის მზაობას განიცდის. ეს სწორედ ის სურვილია, რომელიც გადაწყვეტის აქტის დროს იჩენს ხოლმე თავს და რომელიც იმ სპეციფიკური განცდის დროს გვევლინება, რომელიც მე ნამდვილი ადამიანის სახელწოდებით მოიხსენიება.

მოტივები, განსაზღვრავენ ნების მოქმედებათა გარკვეულ წესს, არ ძალუძთ თავისუფლება წაართვან ადამიანს. ეს შესაძლებელი იქნებოდა, თუ კავშირი მოტივსა და მოქმედებას შორის დაემორჩილებოდა გარდაუვლობას, ე.ი. თუ გარკვეული მოტივი

გარდაუვლად და უსათუოდ წაიყვანდა ნებას, სწორედ ამ და არა სხვა მოქმედებისაკენ. მოტივი ყოველთვისაა, მაგრამ მათი კავშირი მოქმედებით არ არის აუცილებელი, ე.ი. ნებას შეუძლია დაეთანხმოს, მაგრამ არ მისდიოს მას. გონებამ უნდა აღიაროს ზოგი გადაწყვეტილება მისაღებად, ზოგი კი - არაქვემდინარეობად. არის შემთხვევა, მაგრამ ნება არ მისდევს მას. ასევე ხშირად გონება გვიბიძგებს რაიმესკენ, ნება კი თავისი გრძნობის საწინააღმდეგოს აკეთებს.

გრძნობათა ჭიდილი გონებასთან, შინაგანი გაორება, რომელსაც ყველა ადამიანი ამჩნევს თავის თავში, ყველაზე ნათლად ასაბუთებს ადამიანთა ნების თავისუფლებას, სადაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გავაკეთოთ არჩევანი მოქმედებასა და უმოქმედობას შორის, მრავალ მოძრაობათაგან ავირჩიოთ რომელიმე ერთი. უსაფუძვლოა იქ ვივარაუდოთ არათავისუფალი ნების არსებობა. შინაგანი გრძნობა ყველას გვარწმუნებს, რომ იგი იმ წუთებშიც კი, როდესაც ვნება დაუოკებლად მიგვაქანებს რაიმესკენ, შეგვიძლია შევჩერდეთ და დავიდანაშაულოთ თავი ჩვენს მოქმედებაში. სინდისი გვიცხავს ჩვენი ცუდი საქციელისთვის. მისი შინაგანი ხმა შეგნებულად და უტყუარად შთაგვაგონებს, რომ საჭიროა ბრძოლა, საჭიროა მივენდოთ არა ქვენა წარმოდგენებიდან გამომდინარე ლტოლვებს, არამედ გონების კარნახს. გრძნობათა შეკავებით, ვნებებზე გამარჯვებით გამოწვეული შინაგანი კმაყოფილება ნათლად გვიჩვენებს, რომ გაიმარჯვა ნებამ, იბრძოლა და არ დაუკარგავს თავისუფლება. ყოველი ადამიანისთვის აუცილებელია ასეთი შინაგანი ბრძოლა. იგი შეიძლება შესუსტდეს ან განმეორდეს, მაგრამ გაქრობით ორ შემთხვევაში შეიძლება გაქრეს: 1. როცა მეზრძოლი მხრიდან ერთი სურვილით უთმობს მეორეს (როცა ვნებებს იმორჩილებს ადამიანი), 2. როცა განსჯა იმარჯვებს გრძნობებზე. ნება ისეთი სრულქმნილი გახდა, რომ ადამიანი ძლევს საკუთარ თავში გრძნობად ლტოლვებს და ცხოვრობს მხოლოდ ზნეობრივი კანონის შთაგონებით.

უმაღლესი თავისუფლების მატარებელია ის, ვისაც შეუძლია თავისი ნება დაუმორჩილოს ზნეობრივ კანონს. თავისუფალ ადამიანად იწოდება ის, ვისაც შეიძლება სურდეს ყველაფერი, ყოველგვარი შინაგანი თუ გარეგანი იძულების გარეშე და ისრულებდეს კიდევ თავის სურვილებს არა მხოლოდ იძულების გარეშე, არამედ სიხარულით, სიყვარულით, შინაგანი ტკბობითაც კი. მას ებადება სურვილი მხოლოდ გონების თავისუფალი მრწამსის საფუძველზე; იმის საფუძველზე, რომ თავისი

მისწრაფების საგნის უპირატესობაშია დარწმუნებული. ის ირჩევს სიკეთეს და განუდგება ბოროტებას ბუნებრივად, გულის კარნახით. სავსებით მართებულია, რომ კეთილი სურვილები არასოდეს იბადება ძალმომრეობითი მოტივებით. შეიძლება ადამიანი აიძულო იმოქმედოს ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ შეუძლებელია ისურვოს ასე და არა სხვაგვარად. თუ ადამიანს პირუთვნელად, გულწრფელად სურს სიკეთე, მაშინ იგი სრულიად თავისუფლად, გადაჭრით გამორიცხავს ყოველგვარ იძულებასა და ძალდატანებას. დიდი ბრძოლა და ძალისხმევაა საჭირო, საკუთარი თავი მიიყვანო იქამდე, რომ გსიამოვნებდეს სიკეთის გაკეთება.

შეიძლება ითქვას, რომ ვნებებს აყოლილი ადამიანიც თავისუფლად მოქმედებს და სიამოვნებს თავისი მოქმედება, მაგრამ დიდად განსხვავდება კეთილმოქმედი ადამიანისგან, გრძნობადობის ბრმა ლტოლვებსა და ვნებებს დაკმაყოფილების უმძიმესი გავლენა აქვს სულის შინაგან ცხოვრებაზე. ვნება იმონებს ადამიანს, იწვევს შინაგან განხეთქილებას, ბრძოლასა და ხშირად უკმაყოფილებასაც, სასოწარკვეთასა და მოყირჭებას. ვნების ყოველი დაკმაყოფილება კი არ აწყნარებს, აღელვებს ადამიანს. უზნეო ცხოვრება წარმოადგენს სულის არანორმალურ მდგომარეობას, მის მოშლილობას. მხოლოდ ზნემაღალი ადამიანი ატარებს სულით ღვთიურ სამყაროს.

**ცოდვა** - თავისუფალი ვნებისგან მომდინარეობს. ის მანკიერება თუ ნაკლი, რომელიც ცოდვად იწოდება, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ რომ გვეუფლებოდეს, როგორც მაგალითად ციებ-ცხელება შეგვიპყრობს ხოლმე, მაშინ ცოდვილ ხელზე მოწვეული სასჯელი, განკითხვად რომ იწოდება სრულიად უსამართლოდ უნდა მიგვეჩნია. ამასთანავე, ამქვეყნიურ ცხოვრებაში ცოდვა-ბოროტება იმ ზომამდეა დამოკიდებული ნებაზე, რომ ის არც იქნებოდა ცოდვა, თავისუფალი ნების აღმონაცენი რომ არ იყოს.

თუ ცოდვას ნებაყოფლობით არ სჩადიან, მაშინ არც აკრძალვებით უნდა გვზღუდავდეს ვინმე და არც შეგონებებით ცდილობდეს ჩვენს შეჩერებას. აკრძალვებისა და შეგონებების უარყოფით ისპობა წესრიგი. ადამიანი თავისი ნებით იღებს ბოროტეულს, რადგან აუცილებელი იძულების გამო რომ სჩადიოდეს ამას, მაშინ მისი ქმედება არც ჩაითვლებოდა ბოროტეულ, ცოდვიან გარდახდომად.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, რომ თვით სასჯელი ჩადენილი ცოდვისთვის გვასწავლის თუ როგორ გამოვსწორდეთ. სასჯელის სიმწარე გამოსწორებას უნდა უზრუნველყოფდეს. ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით

იყენებს ცხოვრების სიმძნელებს იმისთვის, რომ სულის სიმტკიცე შეიძინოს. სიამეთა სიუხვესა და წარმავალ სიკეთეთა ბდნიერ შეხამებას გამოცდის იგი თავის შეკავებას და კეთილკრძალული ხდება. საკუთარ შორის სწავლობს კეთილმოშიშები და გონიერებით აღვსილი ცდილობს, არათუ არ დაუთმუსო მათ, არამედ უფრო ფრთხილი და გულმოდგინე გახდეს ჭეშმარიტების სიყვარულში, ჭეშმარიტების, რომელიც არ მოგვატყუებს.

ადამიანი თავისუფალი ნების წყალობით აღწევს არა იძულებას, არამედ თავისი ნებით იცხოვროს კეთილი, სათნო ცხოვრებით. მას ძალუმს ღირსეულად დაითმინოს ამა ქვეყნის ყოველი უბედურება, ქარიშხალი და მშფოთვარება და სძლიოს კიდევ მათ.

როცა ცოდვასა და ბოროტებაზე ვლაპარაკობთ, ჩნდება კითხვა:

საიდან მოვიდა ამ ფრიად კეთილად ქმნილ სამყაროში ბოროტება? როდის ან როგორ დაიძლევა იგი?

წმინდა მამების განმარტებით, ბოროტება არ არსია, არ წარმოადგენს სუბსტანციას. ადამიანმა ბოროტად გამოიყენა მინიჭებული თავისუფლება, ღვთის მცნების საპირისპირო გზას დაადგა. თავისთავად, ბოროტებას არ აქვს თვითმყოფადი სახე. იგი არ არის სულდგმულთა და საგანთა ბუნება, რადგანაც ყოველივე ღვთისგან შექმნილი თავისთავად კეთილია.

ესა თუ ის არსება ან საგანი ბოროტებად იქცევა არასწორი გამოყენების გამო. ამდენად, ყოველი ბოროტება ბოროტმოქმედებისგან გამომდინარეობს, ბოროტება ცოდვაა, სიკეთის ნაკლებობაა.

წმინდა დიონისე წერს: ბოროტსა არარაისა ძალუმს ქმნას, მხოლოდ ნგრევა და რღვევა არსებულისა. ამიტომაც დიდი შეცდომაა მასში რაიმე მნიშვნელოვანის, ანდა შემოქმედებითი საწყისის დანახვა. ბოროტება არაფერს არ ქმნის, იგი არღვევს მხოლოდ.

- რატომ არის ცოდვა ასეთი მიმზიდველი? - ჰკითხეს ერთხელ ბასილ დიდს.
- სცდებით მეგობარნო, - უპასუხა წმინდა მამამ, - მომხიბვლელი მისი სამოსელია, თვით კი არასოდეს ყოფილა მიმზიდველი.

ცოდვა არის საფუძველი ხორციელი და სულიერი სიკვდილისა, იგი არის ადამიანსა და ღმერთს შორის, კაცთა შორის უთაანხმოების მიზეზი. ყველაფერი ადამიანის თავისუფალი ნების არჩევანზეა დამოკიდებული. კეთილ საწყისს აირჩევს თუ ბოროტებას, მოჩვენებითი მომხიბვლელობა ჩაითრევს თავის მორევში.

ნეტარი ავგუსტინე პირველი ადამიანის ზნეობაში ორ მდგომარეობას გამოყოფდა: უცოდვილობის შესაძლებლობას და ცოდვის შეუძლებლობას. მისი განმარტებით, სამოთხის მკვიდრთა უცოდველობის შესაძლებლობის მდგომარეობა გამუდმებული სიკეთის ქმნადობით უნდა გადაზრდილიყო „ცოდვის შესაძლებლობაში, მაგრამ ყოველივე ეს მოისპო ადამი და ევას მიერ ღვთის მცნების დარღვევის გამო.

ცნობილი ფილოსოფოსის ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიაში ცხოვრების სულიერი საფუძვლები წერია: ჩვენ ცოდვის სამ მთავარ სახეს ვიცნობთ: მგრძნობელობით - ხორციელ ცოდვას ანუ ავხორცობას, რომლის საწყისი ფორმა შობს ცოდვას, ხოლო ჩადენილი ცოდვა - სიკვდილს. შემდეგ მოდის ბუნებითი ცოდვა - თავდაჯერებულობა ანუ თვითგანდიდება. მას თან სდევს ცდომილება. შეცდომისას კი სიჯიუტე სათავეა ტყუილისა და სიცრუისა, რასაც ძალმომრეობამდე მივყავართ. ძალმომრეობა კი მთავრდება მკვლელობით. ასეთია გზა ცოდვისა.

ცოდვისგან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზაა მისი აღიარება, სინანული აღსარებით სულის წყლულები განიკურნებიან. ვითარ იგი საღმობანი ხორცთანი განცხადებითა მკურნაილსაგან. ცოდვის დაფარვა დიდად მავნებელია. გონება, რომელიც ცოდვათაგან განთავისუფლდება, ნათლდება და ჭეშმარიტი ხედვისთვის გაბრწყინდება. აღიარებით სათნოებათა ძალა ძლიერდება.

აღიარება ესაა სინანული ჩადენილი ცოდვის გამო, ამიტომ იგი განაპირობებს ადამიანის ნებისყოფისა და ფსიქიკის სიკეთისკენ შემობრუნებას. იგია განსხვავებული ქცევა, ფასეულობათა სრულიად ახალი აღქმა, რაც უპირველესად საკუთარი შინაგანი სამყაროს ღრმა ჭვრეტით ანუ თვითშემეცნებით მიიღწევა.

გზა განწმენდისა და განთავისუფლებისა რთულია და ძნელი. ბოროტების დათრგუნვა, ცოდვის საკვრელისაგან თავის დახსნა შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ძალების უკიდურესი დამაბვით.



ცხვარს ადვილად შეატყობს ადამიანი გასაჭირს. შიმშილი იქნება ეს, სენი თუ ჭრილობა, რაც სწრაფად განკურნებას უწყობს ხელს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება აჩქარებს განკურნებას, დაავადების ძლევის საქმეს. ესაა წამლის ნებით მიღება. თუ დაავადება იციან, ცხვარს ადვილად მკურნალობენ.

ადამიანში კი სწორედ ეს სენია მიჩქმალული და ძნელად დასანახი. რამეთუ „ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაი, გარნა სულმანვე კაცისაგან, რომელი არს მას თანა“ (I კორ. 2, 11). როგორ იხმარ წამალს იმ სენის მიმართ, რომლის თავისებურების შესახებ არაფერი იცი, ხშირად ვერც მიმხვდარხარ კაცი ავადაა თუ არა? თუ სნეულებას აღმოაჩენენ, მკურნალებს კიდევ უფრო მეტი სირთულეები ელით, თუ ავადმყოფმა წამლის მიღება და მკურნალობა არ ისურვა.

ცოდვისგან დახსნას დიდად ეხმარება შეგონება, ადამიანი თუ მოისმენს უნდა ახსოვდეს, რომ ღმერთი მხოლოდ მას აჯილდოებს, ვინც თავისი ნებით განუდგება საძრახის საქმეს და არა იძულებით. დიდი ძალისხმევას საჭირო სხეული დაარწმუნო მკურნალობის აუცილებლობაში. სხეულის ნების წინააღმდეგ არავის ძალუძს მისი განკურნება.

ცოდვების მიხედვით სასჯელის განსაზღვრა ადვილი არ არის. საჭიროა ცოდვათა ამტანობის გათვალისწინება, რათა უფრო მეტად არ ავნო და დასცე იგი. ერთბაშად გამოსწორების მცდელობით, შეიძლება უფრო სძლიო მას.

სულს, თუნდაც ერთხელ ძალით სირცხვილეულს, დაეუფლება უგრძობლობა და აღარ ისმენს სიტყვებს უწყინარს, არც რისხვას შეეპუება, სათნოებასაც კი არ მიიკარებს. ამიტომ ადამიანს მოეთხოვება დიდი კეთილგონიერება, თვალი-ყოვლისმხედველი, რათა სრულყოფილად შეძლოს სულზე დაკვირვება. ბევრს არ ძალუძს მკაცრი მკურნალობის ატანა, განცვიფრდება და დაკარგავს სასოებას ხსნისას. ზოგჯერ თუ არ დაედო შესაფერი სასჯელი ეს გახდება მიზეზი მათი უფრო მეტი უზრუნველობისა, უკეთურებისა და ცოდვისა. სრულყოფილად უნდა გამოიძიო მიზეზები, რათა გამოსწორების გულმოდგინება არ იყოს ფუჭი და ამაო.

რას ნიშნავს სინანული? - შენი ნებით შენაწო ცოდვები, ამასთან არა მარტო აშკარა - ტყუილი, მკითხაობა და ა.შ. არამედ არწმინდა ოცნებები, ურჯულო ზრახვები და ა.შ.

სინანული ჩადენილი ცოდვების, მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის მაღალი სულის ადამიანებს შეუძლიათ.

იმისთვის, რომ სინანული ჭეშმარიტი იყოს, საჭიროა შემდეგი პირობები:

1. სინანული ჩადენილი ცოდვების გამო.
2. გულწრფელი აღიარება.
3. ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, რომ აღარასოდეს გაიმეოროს ცოდვა.
4. ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ ჩადენილი ცოდვების ნაცვლად კეთილი საქმე აღასრულოს.

სინანულის მოტივი სიკეთისკენ შემობრუნებაა.

**გთავაზობთ აქტივობებს ზემოაღნიშნულ თემებზე.**

## აქტივობა I

### 5.1 არჩევანის თავისუფლება

**სიტუაცია:** დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გიოს დედამ სურვილი აუსრულა და ველოსიპედის საყიდელი თანხა აჩუქა, ბიჭმა სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, რომ იქვე, მათი სახლის ქვეშ მდებარე მაღაზიაში უკვე შერჩეული ველოსიპედი ეყიდა. ამასობაში გაისმა ზარის ხმა. მეზობელი შემოვიდა და დედას სთხოვა: - ეგებ ფული მასესხო, სოფელში დედა ავად გამიხდა, სასწრაფოდ წასასვლელი ვარ, თან წამალი და საჭმელი უნდა ჩავუტანო. დედა ძალიან შეწუხდა, რადგანაც, რაც ფული ჰქონდა, გიოს მისცა. ბიჭი ისმენდა მეზობლის თხოვნას, ფეხსაცმლის თასმა შეიკრა და ჩამოჯდა. იცის, დედა ვერ დაავალებს ფული მეზობელს ასესხოს, ოცნებით უკვე ველოსიპედით დაჰქრის.

**დავალება განხილვისთვის:** თქვენი აზრით, როგორ არჩევანს გააკეთებს გიო და რატომ?

## აქტივობა II

## 5.2 გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ამცნობს ამბავს: სოფელში ბებიასთან ჩასულ ბავშვებს გაზაფხული შემოეფეთათ ატმისა და ალუბლის ყვავილებით. ირგვლივ ახალდაბარული მიწის სურნელი იგრძნობდა. მარტო ბებოს ბაღ-ბოსტანში წამოჟუჟუნებულ იყო ნაზამთრალი ბალახი. ლამაზი იყო, მაგრამ უსარგებლო. ბებოს დამხმარე მეზობელი სადღაც წასულიყო. პირველი, რაც ბავშვებს გონებაში გაუელვათ, ხილ-ბოსტნის დაბარვის სურვილი იყო. განიხილეს კიდეც. ბებიამ თავი შორს დაიჭირა ათი-თერთმეტი წლის ბავშვებმა როგორ უნდა დაბაროთო.

**დავალება მსჯელობისთვის:** ბავშვები თავისუფალნი არიან თავის არჩევანში (თავისუფლება აუცილებლად გულისხმობს ძალის ანუ მოქმედების შესაძლებლობას). გონებამ მათ უკარნახა გააკეთონ კარგი, მაგრამ შესრულების შესაძლებლობა არის?

## აქტივობა III

### 5.3 მოქმედება სიამოვნება უსიამოვნების

#### წარმოდგენათა ზეგავლენით

მასწავლებელი მოსწავლეებს ამცნობს ამბავს: გოგონამ რვა წლის წინათ დაასრულა მიუსაფარი ყოფა-ცხოვრება. სკოლა-ინტერნატი დაამთავრა. სტუდენტია. სადაცაა სამუშაოსაც დაიწყებს. საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. ბევრჯერ ეცადა, დედ-მამა, განსაკუთრებით დედა ჩამოემორებინა მაწანწალობას, მაგრამ უშედეგოდ. ბავშვთა სახლში მყოფი დაც დედამ გამოიყვანა და მასავით ამათხოვრებდა. ბავშვი დედას უფრო უჯერებდა, ვიდრე დას. გოგონა ხშირად ტიროდა, რცხვენოდა მათ გამო, მაგრამ არც დავიწყება შეეძლო, ხანდახან მოენატრებოდნენ კიდეც. ხან წარმოდგენდა, რომ ყველანი სახლში დაბრუნებულიყვნენ. იქაურობა დაელაგებინათ, თვითონაც ნორმალურად გამოიყურებოდნენ, მუშაობდნენ, ხან თვალწინ ედგა ისინი ჩაბინძურებულები, სახლის დაგვაც რომ ეზარებოდათ და შრომას წანწალი ერჩიათ,

გოგონამ რა უნდა მოიმოქმედოს, დაივიწყოს ყველანი, თითქოს არც არსებობდნენ და თავის გზას ეწიოს თუ ერთხელ კიდევ სცადოს იქნებ ყველა თუ არა, რომელიმე მაინც შემოაბრუნოს ცხოვრებისკენ.

**დავალება მსჯელობისთვის:** დავეხმაროთ გოგონას სწორი მოქმედების არჩევაში.

## აქტივობა IV

### 5.4 გადაწყვეტილების მიღება

**განმარტება:** გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს შექმნილ ვითარებაში მოქმედების განსაზღვრას. რამაც შეიძლება უკეთესი ან უარესი შედეგი გამოიღოს. გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია: დაკვირვება, გაანალიზება, ყურადღება, მოცემულ დროში არსებული ვითარების კონცენტრაცია, ობიექტიდან ობიექტზე გადართვა. ემოციური მდგრადობა, მაღალი საიმედოობა, ადეკვატური მოქმედება, ოპერატიული მასოვრობა - ინფორმაციის შენახვა, გადამუშავება, თანამშრომლობა, თავისი სტატუსის სწორად გამოყენება, განსაზღვრული არჩევანის მოტივაცია, ქცევის მიმართება შექმნილ სიტუაციასთან.

ვითარების სიმარტივემ ადვილად მისაწვდომობის ილუზია არ უნდა შექმნას. ყოველგვარი გადაწყვეტილება თავის შედეგის გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი.

**დავალება:** როლით მოთამაშენი წარმოადგენენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. ისინი იყოფიან სხვადასხვა ჯგუფებად. შექმნიან სიტუაციას, რომელიც საჭიროებს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამის განკარგულებას, ბრძანებას.

**დისკუსია:** რაა საწირო გადაწყვეტილების მიღებისთვის?

ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება უფრო გამართლებულია, თუ შესაბამის სამსახურთან შეთანხმებული? რა შემთხვევაში?

გადაწყვეტილების შესრულების შედეგი რადენადაა დამოკიდებული შემსრულებელზე?

## აქტივობა V

### 5.5 რა მოტივი გამოძრავებთ?

მასწავლებელი ამცნობს მოსწავლეებს ასოციაციური თამაშის არსს. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მდიდარი ადამიანი და დახმარებისთვის მოგმართეს მძიმე სენით დაავადებული ბავშვის მშობლებმა. თქვენც თავის მხრივ გადაწყვიტეთ, დაეხმაროთ მათ და გაიღოთ სამკურნალო ხარჯები.

**დააკვირდით:** რა მოტივი ამოძრავებს თქვენს მოქმედებას:

ა) სხვისადმი დახმარება საკუთარი თავისთვის სასიამოვნო საქმედ მიგაჩნიათ?

ბ) თავის გამოჩენა გსურთ საზოგადოებაში?

გ) საქველმოქმედო საქმეში მონაწილეობის მიღება გინდათ?

დ) ბევრი ფული გაქვთ და რაღაცაში უნდა დახარჯოთ?

პასუხების ნომრების მიხედვით დაალაგებს ექსპერტი მოსწავლე და გაანალიზებს.

## აქტივობა VI

### 5.6 გაფრთხილების გარდაუვლად შესრულება

#### თავისუფლების შეზღუდვა?

**ასოციაციური თამაში:** მეგობარმა თანაკლასელები დაპატიჟა თავის აგარაკზე ქალაქგარეთ. ბიჭი მშობლებმა წინასწარ გააფრთხილეს, რომ არ ერბინათ გაზონებში, არ გაეთელათ ბალახი და ყვავილი, არ დაენაგვიანებინათ იატაკი და ა.შ. ბიჭმა თანაკლასელებს დაათვალიერებინა თავისი ოთახი, სათამაშოები, ეზო, ეწადა გაერთო ისინი, მაგრამ ფრთხილობდა, რათა მშობლების თხოვნა არ დაერღვია. მალე შენიშნა, ყველამ მოიწყინა.

როგორ უნდა მოიქცეს ბიჭი, რომ არც მშობლების საყვედური დაიმსახუროს და თანაკლასელებიც გაართოს?

ბავშვები იმუშავენ წყვილებად. თავიანთ ვარაუდს დაწერენ ქაღალდზე და წაიკითხავენ. შეირჩევა სამი საუკეთესო ვერსია.

## აქტივობა VII

### 5.7 შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი?

**ეპიზოდი კინოფილმიდან:** ქალ-ვაჟი უნივერსიტეტის ბოლო კურსზე სწავლობენ. გადაწყვეტილი აქვთ შემოდგომაზე დაქორწინება, ზაფხულში პრაქტიკაზე ერთ-ერთ ექსპედიციაზე ერთად მოხვდნენ. სანოვაგე შემოაკლდათ და სამი ადამანი, მათ შორის ბიჭიც, სოფელში გაემგზავრა. გზაში უდაბნოს ქარი წამოეწიათ. ქვიშაში მუხლამდე ეფობოდნენ. ადგილიდან ძლივს იძვროდნენ. საშინლად ცხელოდა. ერთ-ერთს მათარით წყალი ჰქონდა. პირველად შეყვარებულ ბიჭს მიაწოდა. მან ბოლომდე დაცალა მათარა.

უკან დაბრუნებულებმა ეს ამბავი ყველას უამბეს. გოგონამ არ დაიჯერა და ბიჭს ჰკითხა: „მართლა ისე დალიე წყალი, რომ ერთი წვეთიც არ დაუტოვე სხვას?!“ – „მწყუროდა, არც მეყო და სხვისთვის რა დამეტოვებინა“, - იყო პასუხი.

#### კითხვები განსჯისთვის:

1. გოგონას მოეწონება ბიჭის პასუხი. ჩათვლის თითქოს არაფერი მომხდარა?!
2. გოგონას აზრი შეეცვლება ბიჭზე და იფიქრებს: მძიმე მდგომარეობაში საკუთარი თავის გარდა სხვას ვერ ამჩნევს, ცხოვრებაში კი ვინ იცის მსგავს სიტუაციაში რამდენჯერ აღმოვჩნდებით, მისგან კარგს რას უნდა ველოდე, სჯობს ახლავ ვთქვა უარი დაქორწინებაზე, რომ მერე არ გავმწარდე.
3. გოგონა გულდაწყვეტილი ფიქრობს, რომ თურმე კარგად არ იცნობდა ბიჭს, მაგრამ მაინც იმედიანადაა განწყობილი, დავებმარები, ეგებ შეძლოს, უკეთესი გახდეს და სიყვარული არ გააცუდოსო.

მოსწავლეები ჯგუფურად მსჯელობენ, შეიძლება ინდივიდუალურადაც. თავიანთ ვერსიებს აცნობენ ერთმანეთს.

## აქტივობა VIII

### 5.8 ნება ზნეობრივ კანონს ემორჩილება?

**ამბავი:** დედაჩემს ძალიან უყვარს ჩემი მეგობრები, რომლებიც ცნობილი და შეძლებული ოჯახებიდან არიან. ყოველთვის ძვირფას საჩუქრებს შემირჩევს მათთვის. ცდილობს მათთან სტუმრადაც ხშირად ვიარო. მე მიყვარს ისინი და დიდ პატივსაც ვცემ.

აქვე ერთი საიდუმლოც უნდა გაგანდოთ: სკოლიდან რომ მოვდივარ, მეორე ქუჩაზე შევივლი. იქ ჩემი საბავშვო ბაღის ამხანაგი ცხოვრობს. პატარა ძმა ჰყავს. მამა სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წავიდა და დიდი ხანია მისგან არაფერი ისმის. ოჯახს დედა არჩენს, მუშაობს, მაგრამ მცირე შემოსავალი აქვს. სიბრალების გამო ხშირად ვზოგავ საუზმისთვის მოცემულ ფულს და პატარა ბიჭისთვის ტკბილეულს ვყიდულობ, ხან ფულსაც ვჩუქნი. სულ მადლობას მიხდებიან, ამიტომაც თავს უხერხულად ვგრძნობ.

ასე მგონია, მდიდარ მეგობრებთან დედაჩემის ხათრით დავდივარ. ბაღის ამხანაგთან კი მისვლა მიხარია, ასე რატომ ვფიქრობ?

#### პრობლემა განსჯისთვის:

1. მოცემულ შემთხვევაში ნება ზნეობრივ კანონს ემორჩილება?
2. არსებობს მოსაზრება, რომ თავისუფალ ადამიანად იწოდება ის, ვისაც შეუძლია ყოველგვარი შინაგანი და გარეგანი იძულების გარეშე ასრულებდეს იმას, რაც სურს. ასრულებდეს სიხარულით, სიყვარულით, შინაგანი ტკბობითაც კი. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

**რჩევა მასწავლებელს:** ეს სავარჯიშო შეიძლება გამოიყენოთ თანაგრძნობის უნარის განვითარებისთვის ანუ იმისთვის, რომ ბავშვმა წარმოიდგინოს როგორია ცხოვრება

სხვა ადამიანისთვის ისეთ სიტუაციაშიც კი, რომელიც მისთვის უჩვეულოა, აღმოუჩინოს მას მხარდაჭერა და თანადგომა.

ამრიგად, თავისუფალი ნებისა და არჩევანის შესახებ მოსწავლეებთან საქმიანობის წარმართვა ხელს უწყობს ჯანსაღი საზოგადოების შექმნას, რამეთუ დღევანდელი მოსწავლეები წარმოადგენენ ხვალისდელ საზოგადოებას.

თავისუფალი ნებისა და არჩევანის სასწავლო საქმიანობაში ჩართვისთვის ეფექტურია ისეთი აქტივობები, როგორცაა: არჩევანის თავისუფლება, გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობა, მოქმედების სიამოვნება უსიამოვნების წარმოდგენათა ზეგავლენით, გადაწყვეტილების მიღება, რა მოტივი გამოძრავებთ?, გაფრთხილების გარდაუვლად შესრულება თავისუფლების შეზღუდვა?, შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი?, ნება ზნეობრივ კანონს ემორჩილება.

## **§5 ქართულ ტრადიციულ სუფრასთან ქცევის კულტურა**

ქართული ტრადიციების მიხედვით სუფრა ადამიანებს საზოგადოებრივი კულტურის ერთგვარი გამოხატულებაა. იგი არ იყო მხოლოდ ხმა-სმის, არამედ კეთილურთიერთობის, ჭირსა და ლხინში თანადგომის, ურთიერთპატივისცემის ადგილია. ვფიქრობ, რომ სუფრასთან ქცევის კულტურას სწავლება სჭირდება როგორც ოჯახში, ასევე სკოლაში.

შემოგზთავაზებთ რამდენიმე აქტივობას, რომელიც ჩვენი შეთავაზებით მოქმედმა მასწავლებლებმა ჩაატარეს, მოახდინეს მოდიფიცირება თავისი კლასის საჭიროების გათვალისწინებით და მოსწავლეთა მხრიდან მხარდაჭერა მოიპოვა.

შემოგთავაზებთ მასალას ჩანაწერის სახით:



მასწავლებელი გააცნობს კლასს ზოგიერთ სამახსოვრო რჩევას:

I ეტაპის დავალება: გაიცანით სუფრასთან მოქცევის წესები:

1. სადილის წინ ფეხზე ადექი და აღავლინე ლოცვა უფლისადმი.
2. როცა გაწყობილ სუფრას მიუჯდები, პატივით გაიხსენე, ვინც მოიყვანა ჭირნახული, ვინც მოგიმზადა იგი და გულში მადლობა მიაგე.
3. სუფრასთან საჭირო ყველა ნივთის გამოყენება შეგიძლია. (ხელსახოცის, თეფშის (დიდი, პატარ), დანა-ჩანგლის, კოვზის, ჭიქის და ა.შ.).
4. თუ კერძი არ მოგეწონება, ნუ დაიწუნებ. მის მომზადებაზე შრომაა გაწეული. პატივი ეცი ამ შრომას და შეეცადე უხმოდ მიიღო ის, რაც მოგაწოდეს. ხომ ხარ დარწმუნებული, რომ შენს სასარგებლოს მოგიმზადებდნენ?
5. თუ შენს ირგვლივ უფროსები ან უმცროსებია, ჯერ მათ დაუთმე კერძი და მერე შენ მიირთვი.
6. ჭამის დროს თავი როგორ გეჭიროს ხომ არ დაგავიწყდა?
7. „სუფრიდან ადექი მაშინ, როცა შიმშილს დაძლევ, გაძლომას ჯერ კიდევ ვერ გრძნობ.
8. სუფრიდან ადგომისას ნუ დატოვებ ნამუსრევს, მოაწესრიგე შენი ადგილი.
9. სუფრიდან ადგომისას მადლობა შესწირე უფალს საზრდოსთვის.

სქემის მიხედვით დააფიქსირე შენი შეხედულება სუფრასთან მოქცევის წესებზე:

სუფრასთან მოქცევის რომელ წესს იცავ?	რომელ წესს ვერ იცავ?	რომელი წესი არ იცოდი აქამდე?	რა შეგმატა წესებს გაცნობამ?	სუფრასთან მოქცევის რომელ წესს დაამატებ შენი სურვილით?
-------------------------------------	----------------------	------------------------------	-----------------------------	---

--	--	--	--	--

**II ეტაპის დავალება:** წინა დავალების შესრულების დროს გავიგეთ, სუფრაზე მოქცევას, ზემოთქმულის გარდა სხვა წესებიც ჰქონია.

ზოგიერთი მათგანი გამომჟღავნდა კიდევ გრაფის ბოლო დავალების შევსებისას. ახლა განვიხილოთ სუფრასთან მოქცევის ის წესები, რომლებიც, სტუმრად ყოფნას უკავშირდება.

- მაგიდასთან გაცნობა არ უნდა ხდებოდეს, მითუმეტეს ხელის ჩამორთმევით.
- სუფრასთან არ კითხულობენ, ძალიან ახლოს ან ძალიან შორს დგამენ სკამს.
- განმეორებით ნუ მოითხოვთ კერძს, თუ რაიმეს აღება გსურთ ახლობლის თეფშს ნუ გადააწვებით. სთხოვეთ რომ გადმოგაწოდონ.
- პური ხელით უნდა აიღო და არა ჩანგლით. პურის ნაჭერს არ კბენთ, იგი ხელით უნდა მოტეხოთ. კარაქი მოტეხილ ნაწილს უნდა წაუსვათ. პურს წვნიანში ნუ ჩაჰყრით.
- ნუ ჭამთ სწრაფად. დიდ ლუკმას პირში ნუ ჩაიდებთ. იდაყვით ან ნიკაპით მაგიდას ნუ დაეყრდნობით. ნუ ასწევთ ჭიქას ძალიან მაღლა. გამოღებული ძვალი უნდა დადოთ ჩანგალზე და შემდეგ თეფშზე. კურკა კი კოვზზე და შემდეგ - თეფშზე.
- ნუ ათამაშებთ ხელში ჩანგალს, დანას, კოვზს.
- ნუ გაიწმენდთ სახეს ხელსახოცით. ხელსახოცით ტუჩებს იწმენდენ.
- თუ გსურთ სხვასთან გადალაპარაკება, მეზობელს ზურგს ნუ შეაქცევთ.

- დანა-ჩანგალი თუ დაგივარდებათ, ნუ შეგრცხვებთ, სხვა მოიტხოვეთ.
- მაგიდასთან ყოფნისას, ნუ იხმართ კბილების საწმენდს.
- ჩაის მორევის შემდეგ კოვზი დადეთ ლამბაქზე, ნუ დატოვებთ ფინჯანში.
- მასპინძელი პირველი არ უნდა ამთავრებდეს ჭამას. უნდა დაელოდოს სხვებს.
- წვეულების დროს თუ ცეკვები გაიმართება, არ დაგავიწყდეთ მასპინძლის საცეკვაოდ მიწვევა.
- საცეკვაოდ გაწვევის დროს ქალს მარჯვენა ხელი უნდა გაუწოდოთ.
- წამდაუწუმ ნუ დაიწყებთ საათზე ცქერას, თუ სხვებზე ადრე წასვლა გინდათ, გააკეთეთ ეს ყურადღების მიუქცევლად. სასურველია მასპინძელს წინასწარ შეუთანხმდეთ.
- ნუ დარჩებით მაგიდასთან მას შემდეგ, როცა ქალები ადგებიან.

**დავალება:** გთხოვთ გრაფების მიხედვით შეავსოთ:

სტუმრად ყოფნისას რომელი წესის შესრულება შეგიძლია?	რომელ წესს ვერ ან არ შეასრულებ?	თუი ყველა წესის შესრულება აუცილებელია, მოგესურვება სტუმრად წასვლა?	რას შეგმატებს წესების დაცვა სტუმრად ყოფნისას?	რას დააკლებს წესების დაუცველობა წვეულებას?

ურთიერთობის კულტურა ადამიანს სუფრასთანაც სჭირდება, სუფრა არის არა მარტო ის ადგილი, სადაც საკვებს იღებენ, არამედ იგი საინტერესო შეხვედრების, გაცნობის, დღესასწაულის, საუბრის ადგილია. ძველი აღთქმის წიგნი „სიბრძნე ზირაქისა გვასწავლის: თუ სუფრის წინამძღოლად დაგსვეს, თავს ნუ აიმაღლებ, არამედ იყავი მათ შორის, როგორც ერთი მათგანი, ჯერ მათზე იზრუნე და მერე დაჯექი, ისაუბრე დარბაისლურად, ცოდნით, მუსიკასაც ნუ დააბრკოლებ, როცა უსმენ, ენად ნუ გაიკრიფები და ნუ ბრძენობ უდროო დროს, როგორც ლალის ბეჭედია ოქროს სამკაულში. ასევე მუსიკის კეთილხმოვანება ნადიმზე ღვინის სმისა. ისაუბრე, თუ საჭირო შეიქმნა, თქვი ორიოდ სიტყვა, როცა შეგეკითხებიან, თქვი უმთავრესი მცირედით მრავალი და იყავი მცოდნე, ნუ მრავალსიტყვაობ, როცა სხვა საუბრობს, დროულად წამოდექი და ბოლო ნუ იქნები, სახლისკენ იჩქარე და ნულარ შეყოვნდები, გაერთე და ისე მოიქეცი, როგორც გსურდეს, მაგრამ ქედმაღლური სიტყვით ნუ შესცოდავ.

ყველა ერს სუფრასთან მოქცევის თავისი ტრადიცია აქვს, არსებობს ისეთი წესები, რომელიც დამკვიდრებულია ოფიციალურ პირთათვის, არის წესები ჭირის სუფრისთვის, ლხინის სუფრისთვის და ა.შ.

გავეცნოთ სხვა წესებსაც, რომლის ცოდნა თანამედროვე კულტურულ ადამიანს უთუოდ სჭირდება, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს.

ოთახში, სადაც სუფრაა გაწყობილი, პირველი შედის ოჯახის დიასახლისი, რომელიც სკამის საზურგესთან დგება და სტუმრებს სთხოვს დაიკავონ ადგილები. სასურველია ყველა ქალის გვერდით აღმოჩნდეს მამაკაცი. ქალები მიდიან თავიანთ სკამებთან და ელოდებიან, როდის შესთავაზებენ მათ სკამებს დასაჯდომად. მამაკაცი მას შედეგ ჯდება, როდესაც ქალს დასვამს მაგიდასთან, მამაკაცი მაგიდასთან ყოფნისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მის მარჯვნივ მჯდომ ქალს, უსხამს სასმელს, ართობს საუბრით, აწვდის კერძებს. მამაკაცი მარცხენა ხელით იღებს თეფშს და მარჯვენა ხელით გადააქვს ქალისთვის. ქალს თვითონაც შეუძლია გადაიღოს კერძი. ამ შემთხვევაში ის სთხოვს მამაკაცს მიაწოდოს კერძი. საჭიროა სკამზე მოხერხებულად ჯდომა. საზურგეზე ოდნავ მიყრდნობა. ჭამამდე ხელები უნდა ეწყოს მუხლზე ან სკამის სახელურზე. ჭამის დროს კი ხელები ტანს არ უნდა შორდებოდეს. წინააღმდეგ

შემთხვევაში მიღებული არ არის მომვებით ჯდომა, მეზობლის სკამის საზურგეზე ხელის გადადება.

მაგიდაზე დადებული ხელსახოცის გვერდზე გადადება არ შეიძლება. მისი დანიშნულებაა დაიცვას ტანსაცმელი კერძის შემთხვევითი შეხვისაგან. ჭამის წინ ხელსახოცი იხსნება და მუხლებზე იფინება. ყელთან მიმაგრება მაინცდამაინც მიღებული არ არის. დაუშველეთ ხელსახოცით დანა-ჩანგლის გაწმენდა, ცხვირის მოწმენდა, იატაკზე რაიმე დავარდნილს არ იღებენ.

სუფრასთან ყოფნის დროს უმჯობესია არ გაიმართოს სერიოზულ თემებზე საუბარი, მით უმეტეს, როცა პირში ლუკმა გაქვთ. მიუღებელია საუბარი ცხელი კერძის მირთმევის დროს, ვინაიდან კერძი ცივდება, როგორც წესი, თანამეინახეები საუბრობენ ცივი საუზმეულის, დესერტისა და ჩაის მიღების დროს. არ საუბრობენ ისეთ თემაზე, რომელსაც მადის გაფუჭება შეუძლია (სხვადასხვა დაავადებებზე, სამსახურებრივ პრობლემებზე), თუ მაინც დაიწყება კამათი, მასპინძლის მოვალეობაა კამათის განმუხტვის მიზნით სხვა თემებზე გადართოს სტუმართა ყურადღება, სუფრასთან უწმაწურ ანეკდოტებს არ ჰყვებიან. მიუღებელია ერთმანეთთან ჩურჩული, ქირქილი, საუბარი დაბალ ხმაზე უნდა წარიმართოს, რომ არ შეწყუბდნენ სუფრის სხვა მონაწილენი. თითოეულმა მოსაუბრემ უნდა იცოდეს, რომ სხვასაც უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

ქართული სუფრის ტრადიციას თამადის რიტუალი, მასში გამოხატულია არა მარტო ქართველი კაცის ბუნება, არამედ მდიდარი ტრადიციებიც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად თამადის მომამზებელი და ნაკლებად გონივრული სადღეგრძელოები, თანაც ღვინის დამალვებით, სუფრის წევრებისთვის მეტად მძიმე ასატანია.

საჭიროა სადღეგრძელოების ყურადღებით მოსმენა. მიუღებელია წვნიანის წკლაპუნი, საჭმლის ხრამუნით მირთმევა. სავსე პირით საუბარი. ორივე ყბით აჩქარებით ჭამა ან დაუღეჯავი ლუკმის ყლაპვა. არ შეიძლება საერთო თევზიდან კერძის საკუთარი დანა-ჩანგლით გადმოღება. თუ გასურს ბუტერბროდის გაკეთება. ამისთვის კარაქი, ხიზილალა ან სხვა რამ ჯერ თევზზე უნდა გადაიღოთ და შემდეგ უნდა გაიმზადოთ ბუტერბროდი.

ყველა საჭმელი არ გადაიღება დანა-ჩანგლით ან კოვზით. მაგალითად, პურს, ნამცხვარს, ხილს, პამიდორს და კიტრს ხელით იღებენ. კერძის მიერთმევის დროს გასათვალისწინებელია, რომ საერთო თევშიდან სხვასაც უნდა შეხვდეს საჭმელი, გადაღებულის თევშზე დატოვება კარგ ტონად არ ითვლება. გადმოღებული ნებისმიერი კერძი ბოლომდე უნდა შეიჭამოს. მიუღებელია თევშის პურით მოპრიალება, თუ არ მოგწონთ კერძი, შეგიძლიათ უარი თქვათ მასზე, მაგრამ მის მიმართ ეჭვის გამოთქმა ან კრიტიკა არ შეიძლება, რამეთუ ამან შეიძლება მასპინძლების განაწყენება გამოიწვიოს.

მიუღებელია დანით ჭამა, ჭამის შემდეგ დანა-ჩანგალი უნდა დადოთ თევშზე ერთმანეთის პარალელურად, თევზს, ხორცს, ბოსტნეულს ჭრიან პატარა ნაჭრებად, შემდეგ დანის დახმარებით ნაჭრებს ჩანგლებზე დებენ და ისე მიერთმევენ, წვნიანი კერძის ჭამის დროს თევშები იხრება მაგიდის ცენტრისკენ და არა თქვენკენ. უკეთესია თევშზე დარჩეს წვენი, მოხარშულ ან შემწვარ თევზს ჯერ ზევითა რბილ ნაწილს აცლიან და ჭამენ, შემდეგ აცლიან ძვლებსა და ხერხემალს, მას გვერდზე დებენ და დარჩენილ ნაწილს მიერთმევენ.

ხორცის პატარ-პატარა ნაჭრებად ერთბაშად დაჭრა და შემდეგ ჭამა არ არის რეკომენდებული, თანდათან უნდა დაიჭრას და ისე მიერთვათ. დაკეპილ ხორცს, კატლეტს, შნიცლეს, ბივშტექსს ჩანგლით ჭამენ. ჩანგალი მარჯვენა ხელში უჭირავთ, ფრინველის ხორცის ჭამის დროსაც დანა-ჩანგალს ხმარობენ. ზოგიერთ ქვეყანაში თევშის მარჯვენა მხარეს ცხელ წყლიან ჯამს დებენ, რომელსაც ხელსახოცი აქვს გადაფარებული. ქათმის ხორცის ნაჭერს - დანა-ჩანგლით, ხოლო ძვალზე დარჩენილ ხორცს ხელით მიერთმევენ. ჭამის შემდეგ თითებს იბანენ თბილი წყლით და იმშრალევენ ხელსახოცით. ძვალს თევშის კიდეზე დებენ. წიწილის ტაბაკს მხოლოდ დანა-ჩანგლით ჭამენ.

თუ ნაყინის თავზე აქვს ნამცხვარი, მაშინ მას იღებენ მარცხენა ხელით. საზამთრო მოაქვთ დაჭრილი კანთან ერთად და ჭამენ დანა-ჩანგლით, უკეთესია თუ საზამთროს კანის გარეშე მოიტანენ. დაუშვებელია საზამთროს ნაჭრებად დაჭრა კანთან ერთად და ჭამენ დან-ჩანგლით, უკეთესია თუ საზამთროს კანის გარეშე მოიტანენ. დაუშვებელია საზამთროს ნაჭრებად დაჭრა კანთან ერთად და ხელით აღება. ნარჩენების თევშზე გადაფურთხება. ვაშლს საერთო ჯამიდან იღებენ მარცხენა ხელით, დანით შუაზე

ჭრიან, შემდეგ გათლიან ან ჭრიან ოთხ ნაწილად და დანა-ჩანგლით მიირთმევენ, ატამსაც ხელით იღებენ საერთო ვაზიდან, დანით აცლიან კანს, შემდეგ კი დანა-ჩანგლით ჭრიან ნაწილებად. კანი თევზის კუთხეში გროვდება. ყუნწიანი ბლის ჭამის დროს კურკას ხელში აგროვებენ და თევზზე დებენ. თუ ბალი ყუნწის გარეშეა მოტანილი, მას კოვზით ჭამენ. ყურძენი ხელით იჭმევა. ფორთოხალს დანით კანს აცლიან სპირალურად, შემდეგ დანით ჭრიან ნაწილებად, ანანასი მოაქვთ დაჭრილი, კანის გარეშე. მას დანა-ჩანგლით მიირთმევენ.

ტორტი დ ნამცხვარი მაგიდაზე მოაქვთ ლანგრით, ტორტი შეიძლება წინასწარ იყოს დაჭრილი.

ჭიქის ან პურის ალებისას დანა-ჩანგალი თევზზე ჯვარედინად უნდა დაიდოს, ჩანგალს ამოზნექილი მხარე ზევით უნდა ჰქონდეს, დანის პირი მარცხნივ. ჭამის შემდეგ დანა-ჩანგალი თევზზე უნდა დაიდოს ერთმანეთის პრალელურად, ტარით მარცხნივ.

ჩაი მოაქვთ ფინჯნით ან ჭიქით, რომელიც სპეციალურ სადგამშია ჩადებული. ჩაის ჭიქა ისე დაიდება სტუმართან, რომ ჩასადგამის სახელური სტუმრის მარცხნივ იყოს, შაქრის კოვზით მორევა უხმაუროდ ხდება. შემდეგ კოვზით ისინჯება გემო, რის შემდეგაც ჩაის ჭიქას აბრუნებენ მარჯვნივ, მარჯვენა ხელის მოსაკიდებლად. თხლად დაჭრილი ლიმონი ცალკე ლამბაქაზე დევს. ლიმონის ნაჭერს ჩანგლით დებენ ჩაიში. ჩაის დალევის შემდეგ ლიმონის დალექვა მიუღებელია.

სასმელები თავის შესაფერ ჭიქაში უნდა ჩაასხათ და ისე მიირთვათ, თუ არ გსურთ - ჭიქაზე ხელის დაფარება მიზანშეწონილი არ არის, უნდა ითქვას, რომ არ გინდათ. თევზის კერძთან - თეთრ ღვინოს მიირთმევენ, ხორციან კერძთან - წითელს, დესერტთან - შამპანურს, ჩაისთან - ლიქიორს, ყავასთან - კონიაკს. სადღეგრძელოს შესმის დროს ხშირად ჭიქას ჭიქებს უჭახუნებენ, ამ შემთხვევაში ქალთან ან ასაკით უფროს მამაკაცთან შედარებით ახალგაზრდა ვაჟს ჭიქა პატივისცემის ნიშნად უფრო დაბლა აქვს დაწეული.

სადილი და ვახშამი ერთ საათზე მეტხანს არ უნდა გაგრძელდეს, ჩაის ან ყავის სმისთვის ნახევარი საათია საჭირო.

არსებობს ოფიციალური ბანკეტები, სადაც სასმელს, საუზმეს, კერძებს მომტანები ჩამოატარებენ, ასეთი სახის მომსახურებაა მაღალი კლასის რესტორნებშიც. მიმტანები გადაუღებენ სტუმრებს კერძებს და დაუსხამენ სასმელებს, სუფრის წევრები თავისუფლდებიან თვითმომსახურებისაგან ცივი საუზმის, ცხელი კერძების და ზოგიერთი დესერტის მირთმევის დროს, მიმტანი ემსახურება მარცხენა მხრიდან, ხოლო ცხელი საუზმის, ცხელი კერძების და წვნიანის მირთმევა ხდება მარჯვენა მხრიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუფრასთან ჩაცმულობას. იგი განისზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სახის სუფრასთან ხარ მიწვეული.

ადამიანები დასასვენებელი სახლის, სანატორიუმის ან პანსიონატის სასადილოშიც კი არ შევა სპორტული ტანსაცმლით. არსებობს ისეთი სახის ბანკეტები, რომლის მოსაწვევ ბარათში ტანსაცმლის ფორმა და ფერიც არის აღნიშნული.

თამბაქოს მწვევლები ჩვენს დროში სადილზე უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევენ არამწვევლებს, ხშირად დიასახლისის ნებართვის გარეშე ეწევიან და არც აინტერესებთ მათი ეს ქცევა უხერხულობას გამოწვევს თუ არა, ზოგს გააჩნია ჩვევა მოსწიოს თავი კერძის მორთმევის შემდეგ, თითქმის ყოველთვის ეწევიან დესერტის წინ, ასეთი ჩვევები ცუდი ტონის მაჩვენებელია და შეიძლება დაბალი კულტურის ნიშნად ჩაითვალოს.

თამბაქოს ბოლი გაცილებით უფრო მეტად აწუხებთ არამწვევლებს, ვიდრე ამას მწვევლები ფიქრობენ, უფრო მეტიც, თამბაქოს ბოლი მოქმედებს შეგრძნებაზე და სპეციალისტების აზრით, მისი სუნი შლის ღვინისა და საკვების ჰარმონიულ შეხამებას. სადილზე მოწვევა დიასახლისისადმი უპატივცემულობად ითვლება, თუ გავითვალისწინებთ მის მიერ გაწეულ შრომას დახვეწილი კერძების დასამზადებლად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დიასახლისი სტუმრებს თავად უმასპინძლდება სიგარეტით, რომელიც მისი აზრით, უხდება მირთმეულ კერძს. ივიწყებს, რომ ზოგიერთ სტუმარს თამბაქოს ბოლი ზიზღს აღუძრავს და დიდ უხერხულობას ქმნის.

ზოგიერთის აზრით, თამბაქოს მოწვევა შეიძლება, როცა შემოიტანენ ყავას და კონიაკს, ყოველ შემთხვევაში, სადილზე მოწვევა შეიძლება დიასახლისისა და იქ დამსწრეთა ნებართვით. უმჯობესია, თუ სუფრასთან საერთოდ თავს შეიკავებთ მოწვევისგან.



განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტუმრის დროზე მოსვლას. მიღებულია, რომ მასპინძელი სტუმარს დათქმულ დროზე ნახევარი საათით მეტს ელოდოს, სასურველია, თუ მოწვევაზე წასვლას ვერ ახერხებთ, წინასწარ შეატყობინოთ ამის შესახებ.

თუ მასპინძელი ხართ, უნდა იზრუნოთ სტუმრებს დროულ და იმედიანად გამგზავრებაზე, ამიტომ ძალიან გვიან ან მიუდგომელ ადგილას არ უნდა გამართოთ წვეულება, თუ სტუმარი ხართ, უნდა გამოიჩინოთ ყურადღება სტუმარი ქალის გაცილების ან უსაფრთხო გამგზავრების მიმართ. თუ ამას არ საჭიროებენ, დაჩემბა და დაძალება საჭირო არ არის, წასვლისას მასპინძელთან გამომშვიდობება აუცილებელია.

## **წინააღმდეგობები საზოგადოებაში საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღზრდისათვის**

პედაგოგიური დიდაქტიკის ანალიზის მეთოდის საშუალებით შევამოვეთ მასალები, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების ქცევის კულტურის ზოგიერთ საკითხს და ნაშრომში ჩავრთეთ აქტივობების სახით სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში გამოსაყენებლად. ისინი ეფექტურია სადამრიგებლო საათის ჩასატარებლად.

### **ხიფათის თავიდან აცილება**

ხიფათი შეიძლება იყოს მოულოდნელი და მოსალოდნელიც.

შეიძლება ხიფათი ადამიანმა თავის თავს თვითონაც მიაყენოს.

ხიფათის თავიდან აცილების პრობლემასთან დაკავშირებულია მოტივის პრობლემაც. შედეგი განსაზღვრავს ესა თუ ის ქცევა რატომ არის სახიფათო, ხოლო მისი თავიდან აცილება ან თუნდაც ხიფათში თავის ჩაგდება ხშირად მოტივს უკავშირდება. მოტივი შეიძლება იყოს სამშობლოს დაცვის, სხვისადმი დახმარების სურვილი და ა.შ.

ხიფათისადმი დამოკიდებულება ადამიანის ხასიათსა და ნებისყოფაზეც არის დაკავშირებული. არცთუ იშვიათად ხიფათს გაუფრთხილებლობა და უგულისყურობა იწვევს. ხიფათი ადამიანის თანამდევია. ყველგან და ყოველთვის შეიძლება შეემთხვას

იგი. მოსალოდნელი საშიშროების გაცნობიერების, შედეგების პროგნოზირებისა და დამცავი მექანიზმების გამომუშავების უნარი აუცილებელია ადამიანისთვის.

## აქტივობა I

### 6.1 „ბალადა პროფესორ ჟორდანას გმირობაზე“

**სიტუაციური ამოცანა:** სავარჯიშოს სათაური აღებული გახლავთ დიდი მგოსნის შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან. ლექსს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი: 1962 წელს რიო დე ჟანიეროს მახლობლად ცეცხლმოდებული თვითმფრინავი ოკეანეში ჩავარდა. პროფესორმა ჟორდანამ თავისი მაშველი რგოლი ერთ უბილეთო გოგონას დაუთმო. თვითონ ცურვა არ იცოდა და დაიღუპა.

**დავალება:** უპასუხეთ გრაფებში მოცემულ კითხვებს.

თქვენი აზრით, რა მოტივი ამოძრავებდა პროფესორ ჟორდანას ქმედებას?

ჰქონდა თუ არა თავის არიდების პირობები და უფლება?

რა სიტყვებით შეაფასებდით პროფესორ ჟორდანას მიერ ხიფათში თავის ჩაგდებას?

## აქტივობა II

### 6.2 სხვისთვის თუ ჩემი სულისთვის?

ამბავი: მარიამ მაგდალინელი კეთროვან ავადმყოფებს უვლიდა, ყველასგან უარყოფილ და განწირულ ადამიანებს აპურებდა, ბანდა, ურეცხავდა, მკურნალობდა. ხშირად თვითონ ეძებდა მძიმე სენით შეპყრობილებს და უვლიდა.

დავალეზა: გაეცით პასუხი კითხვებზე (მოცემული ე.წ. კუბის მოდელის მიხედვით).

	1. აღწერე შენი წარმოდგენით ერთ-ერთი ამბავი	
2. შეადარე შენთვის ცნობილ მსგავს ფაქტებს	3. გაანალიზე რა შედეგს გამოიღებს ავადმყოფებზე ზრუნვა	5. გამოიყენებ ამ მაგალითს შენს ცხოვრებაში?
	4. დაიცავი საკუთარი აზრი ან გამოთქვი საწინააღმდეგო	
	6. დაუკავშირე ეს ფაქტი ადამიანის დანიშნულების რაობას	

## აქტივობა III

### 6.3 ნუ ჩააგდებთ ბავშვებს ხიფათში

დავალეზა: როლით თამაშით წარმოადგინეთ სცენა, სადაც უფროსების დაუდევრობა ხიფათში აგდებს ბავშვებს:

სავარაუდო თემები:

1. იძულებით საცხოვრებლის დატოვება ომის გამო.
2. ელექტროგაყვანილობა მოუწესრიგებელია.
3. ავადმყოფი ბავშვი საავადმყოფოში არ მიიღეს.
4. საჭმელი არ მიუტანეს.

**პრობლემა დიალოგისთვის:** უფროსებმა ბავშვებს ხიფათი რომ ააცილონ რა არის ამისთვის საჭირო?

## აქტივობა IV

### 6.4 მიგაჩნიათ, თქვენ ხართ მიზეზი?

ხშირად ადამიანი თავის თავს თვითონვე ვნებს. წინასწარ იცის, რომ ხიფათი და უარყოფითი შედეგი გარდაუვალია, მაგრამ არ ზალუმს წინ აღუდგეს თავისსავე ქმედებს.

**დავალება:** შეავსეთ სქემა. გაგვიზიარეთ თქვენი შეხედულება.

დავალება	რომელი მიგაჩნია საკუთარი თავისთვის სახიფათოდ?	რითი შეგიძლია აიცილო ხიფათი თავიდან?	რაა საჭირო, რომ შეძლო მესამე გრაფით განსაზღვრული?	რას დაამატებდი?
1	2	3	4	5
<ol style="list-style-type: none"> <li>1. გაკვეთილების არ მომზადება</li> <li>2. დავალების შეუსრულებლობა</li> <li>3. სახლიდან დიდი ხნით თვითნებურად წასვლა</li> <li>4. ცივ ამინდში მსუბუქად ჩაცმა</li> <li>5. ავადმყოფობის დროს წამლის მიღებაზე უარის თქმა</li> </ol>				

6. ჩხუბის დაწყება იმასთან, ვინც შენზე ძლიერი და ღონიერია				
7. ადრე გაზაფხულზე მდინარეში შესვლა				
8. ტალღებაზვირთებულ ზღვაში ბანაობა				
9. გაქანებული ტროლეიბუსიდან ჩამოხტომა				

## აქტივობა V

### 6.5 ღიმილსაც შეუძლია უსიამოვნების მოტანა?

**განმარტება:** ღიმილი ამშვენებს ადამიანს. სილაღეს, სიმხიარულეს, კეთილგანწყობას ანიჭებს მასაც და გარშემო მყოფთაც. სამწუხაროდ, ზოგჯერ გვხვდება უსიამოვნების მომტანი სიცილიც. ზოგს ჩვევად აქვს სხვისი დაცინვა გამოხატოს ღიმილით, რასაც ხშირად ცინიკურ სიცილსაც უწოდებენ. ასეთი სიცილი მათრახზე მწვავეა და მძიმე ზეგავლენას ახდენს ადამიანზე.

**დავალება როლით თამაშისთვის:** წარმოადგინეთ ღიმილის სცენა.

**დამკვირვებლებმა** უნდა გამოიცნონ რაზე მიგვანიშნებს ღიმილით მოთამაშე.

## აქტივობა VI

### 6.6 ტაქტი თუ უტაქტობა

**განმარტება:** ტაქტიანი ადამიანი არა მარტო ცდილობს თავი დაიჭიროს საზოგადოებაში ან ცალკეულ პიროვნებასთან მიმართებაში, არამედ ბუნებრივად ახერხებს თავის დაჭერას. ვისაც ტაქტის გრძნობა აქვს განვითარებული, ზუსტად ირჩევს შესაფერის დისტანციას ადამიანებთან ურთიერთობაში. მისთვის

დამახასიათებელია: კეთილგანწყობა, გონიერება, სიდარბაისლე, სიდინჯე, აუჩქარებლობა და ა.შ.

უტაქტო ადამიანი იქცევა და ლაპარაკობს ისე, როგორც იმ წუთში, ცხელ გულზე ფიქრობს, მისი ქმედება ხშირად დაუფიქრებელი და განუსჯელია. ახასიათებს მოსაბეზრებელი გაშინაურება, ყველაფერზე შენიშვნის მიცემა, დაწუნება. კეთილ რჩევასაც კი არასასიამოვნო ტონით და ქცევით იძლევა, ტაქტი ან უტაქტობა შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ურთიერთობაში: სკოლაში, ოჯახში, ქუჩაში, ტეატრში და ა.შ.

**დავალება როლით თამაშისთვის:** წარმოადგინეთ სცენა, სადაც გამოხატული იქნება ტაქტი და უტაქტობა.

**დამკვირვებლები:** ჯგუფების მიერ წარმოდგენილი სცენების მიხედვით ავსებენ სქემის ქვემოთ მოყვანილ გრაფებს.

რაში გამომჟღავნდა ტაქტი	რით გამოიხატა უტაქტობა	თქვენ რომელს აირჩევდით?	რას გაასწორებდით?

## აქტივობა VII

### მისაღმებაც შეიძლება იყოს მიუღებელი

#### I ეტაპი

**განმარტება:** მისაღმება სხვადასხვაგვარად გამოიხატება. თუ ადამიანს ჩვევად აქვს ნაცნობთან ან ახლობელთან შეხვედრის დროს წაიდუღლუნოს სალამი, ან უფროსთან მისაღმებისას ხელი ასწიოს და თქვას „პრივეტ“, ან ხელი ჩამოართვას, ჰკითხოს - „როგორ ხარ? - და პასუხს არ დაუცადოს. შეხედოს დამცინავად, რაზედაც „გამგმირავი მზერა სტყორცნაო“ - ამბობენ. სკამზე იჯდეს და უფროსის მისაღმებისას ფეხზე არ

წამოდგეს, მისაღმებაში გამოხატოს გულგრილობა, შეხვედრით გამოწვეული უსიამოვნება ყოველთვის მავნე ჩვევად მიიჩნევა.

მისაღმებაში შეიძლება გამჟღავნდეს ადამიანის კულტურა, კეთილგანწყობა, სიყვარული, სიმშვიდე, სიხარული. ამბობენ დიდი მეცნიერი ნიკო კეცხოველი უნივერსიტეტში შესვლისას ყველა შემხვედრს მოიკითხავდა, მოისმენდა პასუხს, შეაქებდა, ანუგეშებდა. ამიტომაც უყვარდათ მისი მისაღმება. ბევრი დილით ადრეც კი მიდიოდა უნივერსიტეტში, რომ მისაღმებოდა და მთელი დღე კარგ განწყობაზე ყოფილიყო.

II ეტაპი:

**ტესტის ამოხსნა:** შემოხაზეთ სწორი პასუხი.

1. ეტიკეტის მიხედვით მისაღმებისას პირველი ხელს ვინ უწვდის?
  - ა) ქალი?
  - ბ) მამაკაცი
2. წლოვანებით?
  - ა) უფროსი;
  - ბ) უმცროსი.
3. შეხვედრისას პირველი ესაღმება
  - ა) თანამდებობის პირი;
  - ბ) ხელქვეითი?
4. ოთახში შესვლისას პირველი ესაღმება
  - ა) გვიანშესული;
  - ბ) დამხვდური?

მასწავლებელი აცნობს სწორ პასუხებს: 1. ა); 2. ა); 3. ა); 4. ა).

## აქტივობა VIII

### 6.8 ტელეფონით სარგებლობა

I ეტაპი: ტესტის ამოხსნა - რომელია მავნე ჩვევა? (შემოხაზეთ).

1. სამსახურებრივი ტელეფონით ხანგრძლივად სარგებლობა.
2. მეზობლის ტელეფონით ხშირი სარგებლობა.

3. ტელეფონით ჭორაობა.
4. შეცდომით აკრეფილ ნომერზე უხეშად პასუხი.
5. ტელეფონით ვინმეს გალანძღვა.
6. დავიწყება იმისა, რომ სატელეფონო ხაზის მიღმა დგას ადამიანი თავისი დარდით და წუხილით.

პასუხები გაანალიზდება.

II ეტაპი: როლით თამაში.

წყვილები წარმოადგენენ ტელეფონით საუბრის სცენას.

**მსმენელები** აკვირდებიან ტელეფონით სარგებლობის დროს როგორ მჟღავნდება მავნე ჩვევა და აკეთებენ დასკვნას, რა გზით შეიძლება მისი დაძლევა.

### აქტივობა IX

#### 6.9 გვართ მიმართვა მავნე ჩვევა

მოსწავლეებს ეძლევათ **დავალება**: დააკვირდნენ მიმართვისას უფრო მეტად სახელით მიმართვის ფორმას იყენებენ თუ გვართ? დაწერონ ფურცელზე.

**დიალოგის თემა**: თავაზიანობად ითვლება თუ არა სახელით მიმართვა?

### აქტივობა X

#### 6.10 სხვებთან ყოფნისას ზოგიერთი მავნე ჩვევის დაძლევის შედეგად?

**დავალება**: მოცემული პირველი გრაფა შევავსოთ ბავშვების მოსაზრებით.

რა მიგაჩნიათ სხვებთან ყოფნისას მავნე ჩვევად	როგორ დავძლევთ მავნე ჩვევას	მავნე ჩვევის დაძლევა შეუძლებლად მიგაჩნია
1	2	3



--	--	--

მავნე ჩვევების სავარაუდო პასუხები: ხალხში დამთქნარება, დახველება პირზე ხელის აუფარებლად, სხეულის მოფხანა, ცხვირის მოწმენდა უცხვირსახოცოდ, ცხვირში ხელის შეყოფა, კბილების ჩიჩქნა, ყურის გამოწმენდა, ტანსაცმლის გაბერტყვა, ხელების ქნევით ლაპარაკი, ხმამაღალი სიცილი, გაუთავებელი სიარული და ა.შ.

შემდეგ ვაანალიზებთ პასუხებს დანარჩენი ორი გრაფის შესაბამისდ.

## აქტივობა XI

### 6.11 იუმორისადმი დამოკიდებულება

**განმარტება:** კეთილი ხუმრობა და იუმრი ყოველვის დადებითად ფასდება. იუმორი ადამიანის სულიერი ფასეულობის შემადგენელი ნაწილია. ზოგიერთს ჩვევად აქვს მოყვეს იუმორი ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ თემაზე. ხშირად უხამსი იუმორი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს გარშემომყოფთ და ჯანსაღი სიცილის ნაცვლად აღშფოთებას იწვევს.

**საწერი თემა:** იუმორი და მე

## აქტივობა XII

### 6.12 სტუმრად

I ეტაპის **დავალება:** წარმოიდგინეთ რომ მიდიხართ სტუმრად. დაწერეთ ფურცელზე რა წესის დაცვა მიგაჩნიათ საჭიროდ. დაწერილი წაიკითხეთ.

(მხედველობაში მიღებულია, რომ სტუმრად ყოფნისას სუფრასთან ქცევის წესები იცით).


II ეტაპი: სტუმრად ყოფნისას საჭიროა დავიცვათ ზოგიერთი წესი:

- თუ სტუმრად მიდიხართ, ნუ შეხვალთ სასტუმრო ოთახში პალტოთი.
- ნუ შეხვალთ ოთახში დაუკაკუნებლად, მოკიდებული სიგარეტით.

- ნუ იჩქარებთ დაჯდომას, დაელოდეთ, ვიდრე ამას გთხოვთ მასპინძელი, სკამზე ნუ იწრიალებთ, ნუ მიაშტერდებით ავეჯს, ნახატს, სხვა საგნებს.
- არ გაიწმინდოთ და არ მოიჭრათ ფრჩხილები. თმა შეისწორეთ შესასვლელში. არ დაიწყით ტანსაცმლის მოწესრიგება სასტუმრო ოთახში.
- არ დაგავიწყდეს წამოდგომა, როცა ოთახში ქალღი შემოდის.
- ნუ წარუდგენთ ქლს გასაცნობად მამაკაცს. კაცს წარუდგენენ ქალს.
- საუბრისას მასპინძელს არ შეეხოთ ხელით.
- ნუ დაიწყებთ საუბარს თქვენს თავზე და საქმეებზე.
- ნუ ილაპარაკებთ ჩურჩულით, სჯობს საამისოდ სხვა დრო შეარჩიოთ.
- ნუ გაიხუმრებთ ვინმეს მისამართით, ნუ დასცინებთ სხვას.
- უმნიშვნელო საკითხებზე ნუ დაიწყებთ კამათს.
- ნუ მოძებნით ჩხუბის მიზეზს.
- ნუ დაიწყებთ ძველი ხუმრობების, ანეკდოტების ან ამბის მოყოლას თუ მსმენელებს არ აინტერესებთ და არ გთხოვენ ამის შესახებ.
- ნუ იტყვით უარს დაკვრაზე, სიმღერაზე ან ცეკვაზე, თუ კი ეს გეხერხებათ.
- ნუ იქნებით გაბღვერილი იმის გამო, რომ ყურადღების ცენტრში არ ხართ.
- სტუმრად დარჩენა ძალიან დიდხანს სასურველი არ არის.

III ეტაპი: შევადაროთ ერთმანეთს ბავშვების მიერ ადრე დაწერილი და ეტიკეტით გათვალისწინებული წესები (ვიპოვით მათ შორის საერთო).

იხ. დიაგრამა შესაბამისი შედარების გასაკეთებლად.



## აქტივობა XIII

### 6.13 სასარგებლოა თუ არა

#### ზნეობრივად მოქცევის წესების ცოდნა?

**განმარტება:** ადამანი ადრე თუ გვიან მოხვდება ისეთ საზოგადოებაში, სადაც სათანადო მოქცევის წესების ცოდნაა საჭირო (თუმცა არც ოჯახში გვაწყენდა ეთიკური ნორმების დაცვა).

უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდეთ, სასურველია ზოგიერთი შესაბამისი წესის ცოდნა. ისინი, ერთი შეხედვით, შეიძლება ბევრი და გადამეტებულიც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მათი გაცნობა სასარგებლოა და ბევრჯერ გამოგიყვანთ მძიმე მდგომარეობიდან.

#### დავალება:

- ა) გაიცანით წესები. შეგიძლიათ დაიხეპიროთ (იხ, წინა სავარჯიშო)
- ბ) რომელ წესს იცავდით? ჩამოწერეთ ან მიანიშნეთ.
- გ) რომელი წესის დაცვას მოისურვებთ?
- დ) რომელ წესს ვერ შეასრულებთ? აუვლით გვერდს?
- ე) ზედმეტად გეჩვენებათ ამდენი წესის გაცნობა თუ სასარგებლოდ?

## აქტივობა XIV

### 6.14 საჭმლის მიღებისას გაგახსენდეს მშვიერიც

I ეტაპი: მოსწავლემ პასუხი უნდა გასცეს დაფაზე დამაგრებული სქემის გრაფებში განთავსებულ კითხვებს.

კითხვები	დიახ	არა
1. გირჩევნია ხელში დაიჭირო საჭმელი და წალუკმო?		
2. ნაყინის ქუჩაში სიარულისას ჭამა გიზიდავს?		
3. როცა გემრიელ კერძებს მიირთმევ, წუთით მაინც გაგახსენდება, რომ შეიძლება ვინმე მშვიერი იყოს?		
4. შეგიძლია ჩაიში ნაკლები შაქარი ჩაყარო და ამით თანაუგრძნო იმას, ვისაც ჩაის დალევაც ენატრება.		

საბოლოოდ დამკვირვებელი ანალიზებს კითხვებზე გაცემული პასუხების სისწორეს.

### აქტივობა XV

#### 6.15 იცი, რომ მავნე ჩვევაა და მაინც ვერ თმობ?

დავალება: შეავსეთ სქემაში მოცემული გრაფები

ჩვევები	შეგინიშნავს ეს ჩვევა თქვენს ან მეგობრი ქცევაში	მიგაჩნიათ თუ არა მავნე ჩვევად მიუწერეთ (კი) ან (არა)	შეგიძლიათ მისი დათმობა	რას მოგცემთ დათმობა	მავნე ჩვევა ადამიანს მძიმე მდგომარეობაში აგდებს? რატომ?
1. საგნებზე ან ადამიანებზე თითოთ მინიშნება					
2. კალმისტარის ან ფანქრის ღეჭვა.					
3. სავარცხლის გარეთა ჯიბით ტარება.					
4. ჭუჭყიანი ფეხსაცმლით სიარული					
5. სადილის დროს თამბაქოს მოწევა					
6. წამდაუწუმ თმების გასწორება					
7. ყველაფერზე უადგილო სიცილი					
8. სხვისი დაცინვა ან სხვაზე დაცინვით ლაპარაკი					
9. საზოგადოებაში ვინმეს გახმობა და ჩურჩულით ლაპარაკი					

შევსებული პასუხებით ექსპერტი წარმოადგენს თავის შეხედულებას.

ამრიგად, საზოგადოებაში საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღზრდისათვის ეფექტურია სადამრიგებლო საათის ფარგლებში ისეთი აქტივობების, როგორცაა: „ბალადა პროფესორ ჟორდანას გმირობაზე“; სხვისთვის თუ ჩემი სულისთვის?; ნუ ჩააგდებთ ბავშვებს ხიფათში; მიგაჩნიათ, თქვენ ხართ მიზეზი?; ღიმილსაც შეუძლია უსიამოვნების მოტანა?; ტაქტი თუ უტაქტობა; მისალმებაც შეიძლება იყოს მიუღებელი; ტელეფონით სარგებლობა; გვართ მიმართვა მავნე ჩვევაა; ხალხში ყოფნით ზოგიერთი მავნე ცვევის დაძლევა შეეძლებოდა?; იუმორისადმი დამოკიდებულება; სტუმრად; სასარგებლოა თუ არა საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნა; საჭმლის მიღებისას არ უნდა გაგახსენდეს მშვიერი?; იცი რომ მავნე ჩვევაა და მაინც ვერ თმობ?.

## დასკვნები

აღზრდის შესახებ შეხედულებები გამოხატულია ყველა დიდი მამულიშვილისა და ქვეყნის ბედზე მზრუნველ მოღვაწეთა ნაშრომებში. მრავალთაგან აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები. ისინი ერის წინსვლის, ქვეყნის გაძლიერების უპირველეს საწყისად განათლებას მიიჩნევენ. მაგრამ აუცილებლობად თვლიდნენ ცოდნასთან ერთად ზნეკეთილობას და მამულიშვილური მოვალეობის შესრულებას.

მეცნიერი და პედაგოგი შალვა ამონაშვილი აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად ქართული ტრადიციების დაცვას მიიჩნევს და საუბრობს ქართულ სუფრასთან მოქცევის წესების დაუფლებაზე, სადაც იგი ისწავლის ურთიერთობას, წასული ადამიანების ხსოვნის პატივისცემას, პიროვნული თვისებების დაფასებას.

განსაკუთრებული ზრუნვა ესაჭიროება საზოგადოებას ბავშვის სოციალური დაცვისთვის. ეფექტურია სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ის მოდელი, რომლის მიხედვითაც, ყველა თანაბარ პოზიციაშია, სკოლა, ოჯახთან და საზოგადოებასთან ერთად წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზმს თანაბრად გაანაწილებული უფლებები და მოვალეობები მომავალ თაობაზე ზრუნვის საკითხში. (მაგალითად, სამეურვეო საბჭოს საქმიანობით).

საზოგადოების აქტუალური პრობლემაა ბავშვთა უფლებების დაცვა იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი აღიზარდოს ადამიანის ღირსების პატივისცემის, თანასწორობის, კეთილგანწყობილ საზოგადოებრივ გარემოში.

ბავშვი საზოგადოებაში თავს დაცულად რომ გრძნობდეს უმთავრეს და უპირველეს პირობებად მიგვაჩნია აღმზრდელობითი საქმიანობის წარმართვა ეროვნული პატრიოტული, ტრადიციული, ღირებულებების სწავლებითა და დაცვით, რათა სწორი მიმართულება მიეცეს ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდას.

თავისუფალი ნებისა და არჩევანის შესახებ მოსწავლეებთან საქმიანობის წარმართვა ხელს უწყობს ჯანსაღი საზოგადოების შექმნას, რამეთუ დღევანდელი მოსწავლეები წარმოადგენენ ხვალისდელ საზოგადოებას.

თავისუფალი ნებისა და არჩევანის სასწავლო საქმიანობაში ჩართვისთვის ეფექტურია ისეთი აქტივობები, როგორცაა: არჩევანის თავისუფლება, გონების ნაკარნახევის შესრულების შესაძლებლობა, მოქმედების სიამოვნება არ სიამოვნების წარმოდგენათა

ზეგავლენით, გადაწყვეტილების მიღება, რა მოტივი გამოძრავებთ?, გაფრთხილების გარდაუვლად შესრულება თავისუფლების შეზღუდვა?, შეიძლება მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი?, ნება ზნეობრივ კანონს ემორჩილება.

გაკვეთილგარეშე აღმზრდელობით საქმიანობაში ისეთი აქტივობების ჩართვა, რომელთა შინაარსი მოიცავს ეროვნულ, ხალხურ, პედაგოგიურ ტრადიციებს და ემსახურება ზნე-კეთილი ადამიანის არზრდას, რომელსაც შეუძლია საკუთარი ქცევა და შესაბამისად ცხოვრების წესი დაუკავშიროს მემკვიდრეობითი ტრადიციების დაცვას და ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი ურთიერთპატივისმცემელის ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

## ლიტერატურის დასახელება

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
2. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი 2014
3. ბოჭორიშვილი მ. პრაქტიკული პედაგოგიკა თბილისი, 2019
4. გობრონიძე ა. პედაგოგიკა, ბათუმი, 2000
5. გოგებაშვილი ი. თხზულებანი, ტომი I, თბილისი, 1988
6. გოგუა ვ. პედაგოგიკა, თბილისი, 1998
7. დოლონაძე მ. აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები, თბილისი, 2014
8. ზენკოვსკი ვ. პედაგოგიკა 1995
9. ჭავჭავაძე ი. პედაგოგიური თხზულებანი თბილისი, 1988
10. მეგრელაძე ც. რელიგიურ-ეთიკური ნაშრომების სასწავლო პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები ბათუმი, 2003
11. მეგრელაძე ც. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი დახმარება ბათუმი, 2005
12. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი ცდიესეული ფსიქოლოგიის საკითხები თბილისი 1991
13. Childrens problem begin at home and end at home education essay
14. Early childhood development
15. Family problems
16. Positive parenting: parent-child relationship



ინტერნეტ წყაროები:

- [https://www.canr.msu.edu/news/young\\_children\\_learn\\_by\\_copying\\_you](https://www.canr.msu.edu/news/young_children_learn_by_copying_you)
- <https://www.parents.com/toddlers-preschoolers/development/behavioral/what-your-child-learns-by-imitating-you/>
- <https://www.child-encyclopedia.com/sites/default/files/textes-experts/en/829/early-peer-relations-and-their-impact-on-childrens-development.pdf>
- [https://www.aflatoun.org/goals/early-childhood-development/?gclid=CjwKCAjw8cCGBhB6EiwAgORey1A8G\\_2\\_Knms6o1y2a-JAYk1CBCxs2FJbUVShhafGnrE9ahxKRO8exoCqFQQAvD\\_BwE](https://www.aflatoun.org/goals/early-childhood-development/?gclid=CjwKCAjw8cCGBhB6EiwAgORey1A8G_2_Knms6o1y2a-JAYk1CBCxs2FJbUVShhafGnrE9ahxKRO8exoCqFQQAvD_BwE)
- <https://www.ukessays.com/essays/education/childrens-problems-begin-at-home-and-end-at-home-education-essay.php>